ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 13 ნოემბერი 2007 №263 (3186) ფასი 50 თეთრი


# ეროვნული ნაკრების იშვიათი შეკრება

## ტოპმიოლერმა სეგრტს შილგლობა გაუცვალა



დღეიდან საქართველოს ნაკრები მოახლოებული ორი მატჩისთვის მზადებას იწყებს. 16 ნოემბერს ყატართან ამხანაგური და 21 ნოემბერს ლიტვასთან ევროშესარჩევი თამაშებით ჩვენი ეროვნული გუნდი 2007 წელს ოფიციალურად ჩაამთავრებს და 25 ნოემბრის კენჭისყრას დაელოდება — სწორედ ამ დღეს გაირკვევა იმ გუნდთა ვინაობა, რომელთაც კლაუს ტოპმიოლერის ბიჭები 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად დაუპირისპირდება.

დღევანდელი შეკრება კი, იშვიათობაა, მაგრამ დანაკლისის გარეშე იწყება. მართალია, ლევან კობიაშვილი ისევ ტრავმირებულია და ნაკრებს ვერ დაეხმარება, მაგრამ „დანაკლისის გარეშე"-ში იმას ვგულისხმობთ, რომ ტოპმიოლერის მიერ ამ მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთაგან არავინ დაშავებულა, რაც აქამდე ბევრჯერ მომხდარა.

და ერთიც: გუშინ თურქეთში გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. პეტარ სეგრტის ბიჭები ტრაპიზონში, თურქეთის ნაკრების ბაზაზე მოემზადებიან რუსებთან ევროშესარჩევი მატჩისთვის. ეროვნულისგან განსხვავებით, ახალგაზრდულს ტრავმებმა თავისი ხელი დაატყვეს, თუმცა სეგრტმა უკვე იხმო შემცვლელები და ვნახოთ...



# ჩამოდიან

## ლიტვაც, რუსეთიც, პლატინიც, ბლატერიც

ლიტვასთან და რუსეთთან მოახლოებული მატჩები ალბათ არ გადაიდება — მართალია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა ბოლო პასუხს ვერ ამბობს, თუმცა ის კი გვითხრა, უეფას ყველაფერი დეტალურად ვაცნობეთ და დღე-დღეზე პასუხი მოგვივაო.

წესითა და რიგით, პასუხი დადებითი უნდა იყოს და ნაკრებებიც უკვე მზადებას იწყებენ.

და კიდევ: უეფა ვახსენეთ და, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიშელ პლატინი და ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი საქართველოში ჩამოსვლას იანვარში გეგმავენ. უგულავამ გვითხრა, ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილიაო...

# სისხლიან იტალიაში ლევან კალაძეც ახსენეს



# არაპითარი საფრთხე

## ფედერაციამ უსაფრთხოება აიღო საკუთარ თავზე, ბლატერმა და პლატინიმ კი თბილისში ჩამოსვლა


ბადრი ქართლელის ფოტო

**პოლიტიკურმა დაძაბულობამ ჩაიარა, თუმც თავისი კვალი მაინც დატოვა — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტური გადაიდო. კითხვის ნიშანი გაჩნდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ჩატარებასთანაც. მოგეხსენებათ, 20 ნოემბერს თბილისში ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები რუს თანატოლებს უნდა დაუპირისპირდნენ, 21 ნოემბერს კი — კლაუს ტოპმიოლერის ბიჭები ლიტვას. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გენერალურ მდივან უჩა უგულავას ვესტუმრეთ...**

— ჩვენ უეფაში გავაგზავნეთ წერილი, რომ უსაფრთხოების ყველა ზომას დავიცავთ. ამის შესახებ ვაცნობეთ რუსეთის და ლიტვის ფეხბურთის ფედერაციებსაც. უეფადან პასუხს უახლოეს დღეებში მივიღებთ. ისე კი, არა მგონია, მატჩები გადაიდოს.

**— ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები კი უკვე ტრაპიზონშია და რუსეთთან მატჩისთვის ემზადება...**

— რუსეთთან სათამაშოდ ჩვეულებრივად ვემზადებით. თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია დაგვეხმარა და მათი ეროვნული ნაკრების ბაზაზე მომზადების საშუალება მოგვცა. ჩვენები თბილისში მატჩის წინა დღეს ჩამოვლენ.

**— ეროვნული ნაკრების მზადებაც შეუფერხებლად დაიწყება?**

— გუნდი დღეს შეიკრიბება ტექნიკურ ცენტრ „ბასაში", პირველი ვარჯიში კი „მიხეილ მესხზე" ექნება.

**— რამდენიმე დღის წინ შვეიცარიაში იყავით და უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის შეხვდით...**

— მე და ნოდარ ახალკაცი შევხვდით და გავაცანით ის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ახლახან წარმოადგინა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა. პლატინი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამით და თავადაც აღგვითქვა დახმარება. თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ ფიფას და უეფას პრეზიდენტები 2008 წლის იანვარში გვეწვევიან.

**— თქვენი აზრით, რას ნიშნავს ქართული ფეხბურთისთვის ამ პროექტის განხორციელება?**

— ეს არის ქართულ ფეხბურთში გადადგმული რევოლუციური ნაბიჯი. პროექტი რომ განხორციელდება, ამის შემდეგ დავინახავთ, რას ნიშნავს ჩვენი ფეხბურთისთვის ამდენი საფეხბურთო მოედანი და ბაზა. დღეს თურქეთში ემზადება ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები, მაგრამ სამ წელიწადში ამის საჭიროება აღარ იქნება და აქ გვექნება რამდენიმე თანამედროვე საფეხბურთო ბაზაც და სტადიონიც.

**— თუმცა, ამასთან ერთად, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებასაც უნდა შეუწყოს ხელი...**

— ჩემი აზრით, ეროვნული ჩემპიონატის დონე ნელ-ნელა უკვე მატულობს და სამ წელიწადში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნება. იზრდება საპრიზო ფონდი, რაც გუნდებს მოტივაციას გაუზრდის, კარგი მოედნები კი სათამაშო ხარისხზე იმოქმედებს. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მალე რვა კლუბი კერძო ინვესტორის ხელში გადავა და მათ ათწლიანი მყარი ფინანსური ზურგი ექნებათ. ტენდერი ამ თვის ბოლოს ჩატარდება.

**— ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის რა სამუშაოები ტარდება?**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სახელმწიფო პროგრამა, საერთოდ, ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. საქართველოში უკვე 400 მინი-მოედანი გაკეთდა, რაც, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია. ადრე ჩვენს ქვეყანაში ბავშვებს არც მოედანი ჰქონდათ, ვერც მშობელი უშვებდა შიშით სათამაშოდ და ამის გამო თაობები დაიკარგა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თუ ბავშვთა ფეხბურთი არ იქნება მაღალ დონეზე, წინსვლა გამორიცხულია.

**— თუმცა ბავშვებში ბევრი არაპროფესიონალი მწვრთნელი მუშაობს და ამას როგორ ებრძვით?**

— ამ საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთ. რამდენიმე თვის წინ დასავლეთში ჩავატარეთ C ლიცენზიის კურსები და 77-მა კაცმა მიიღო ლიცენზია. ამ პროცესს მთელი საქართველოს მასშტაბით გავაგრძელებთ. საქართველოში ყველა საფეხბურთო სკოლამ გაიარა ლიცენზირება. ჩვენ გვაქვს ყველა მწვრთნელის მონაცემები მათი განათლების თაობაზე და აუცილებლად გავაკონტროლებთ, როგორ მიდის მუშაობა სკოლებში. ასევე, თითოეული ბავშვის პასპორტის ასლიც გვაქვს, რაც ერთობ მნიშვნელოვანია — მოგეხსენებათ, ასაკის გადაკეთება ადრე ჩვეულებრივი ამბავი იყო, ახლა კი მაქსიმალურად ვეცდებით, ასეთი თაღლითური გზებით ვერავინ ისარგებლოს. ვაგრძელებთ ტალანტების მოძიების პროგრამასაც. ყველა რეგიონს საკუთარი ნაკრები ეყოლება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევქმნათ 15-წლამდელთა ნაკრები. და ერთიც: მალე ფეხბურთის ფედერაციას ტექნიკური დირექტორი ეყოლება, რომელიც ბავშვთა ფეხბურთს და საერთოდ, ასაკობრივ ნაკრებებს დაუთმობს დიდ ყურადღებას.

**ნუკრი ლოლაძე**



ბადრი ქართლელის ფოტო

# ნაკრები იკრიბება

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს 16 და 21 ნოემბერს ორი მატჩის გამართვა მოუწევს.

16-ში ყატარის დედაქალაქ დოჰაში ჩვენები, თბილისის დროით, 20 საათზე მასპინძლებთან ამხანაგურად ითამაშებენ. ამ მატჩისთვის მზადებას ნაკრები დღეიდან შეუდგება — ფეხბურთელები დილიდან ბაზაზე შეიკრიბებიან, ხოლო 18 საათზე „მიხეილ მესხზე" ივარჯიშებენ.

გუნდი თბილისში კიდევ ორ ვარჯიშს გამართავს, ყატარში 15 ნოემბერს გაემგზავრება, 16-ში კი, მატჩის დასრულებისთანავე, თბილისში დაბრუნდება და 21 ნოემბერს ლიტვასთან ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩს ჩაატარებს.

მართალია, ამ მატჩს ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად პრაქტიკული მნიშვნელობა არც ერთი გუნდისთვის არ აქვს, მაგრამ თავისი დატვირთვა მაინც გააჩნია — უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში საჭიროა, მეტოქეზე მაღალი ადგილი დავიკავოთ, რადგან 25 ნოემბერს სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება და გუნდები კალათებში ფიფა-„კოკა-კოლას" რეიტინგთან ერთად სწორედ მიმდინარე შესარჩევში დაკავებული ადგილების მიხედვით განთავსდებიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ ლიტველებთან მატჩი „ეროვნულზე" 19.30 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველია ტვინია

**საქართველოს** ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია მიმდინარე სეზონში უკრაინაში მოთამაშე ქართველთაგან ყველაზე გამორჩეულია. იგი უკვე მესამედ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში და ეს გასაკვირი არც იყო — ლვოვის „კარპატისთან" სტუმრად ჩატარებულ მატჩში ჩვენებურმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი საგოლე პასითაც გამოირჩა და საბოლოოდ მისმა გუნდმა 3:1 იმარჯვა.

ყველაზე საინტერესო, კი უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მისი დახასიათებაა: „გუნდის ტვინი, რომელსაც გატანაც ეხერხება და საგოლე პასების დარიგებაც".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ინგლისი**

პრემიერლიგა. XIII ტური
რედინგი 1:3 არსენალი

ჩემპიონატი. XVI ტური
ქოვენთრი 0:4 ვესტ ბრომვიჩი

**დანია**

სუპერლიგა. XVI ტური
ვიბორგი 0:2 ორჰუსი

**პორტუგალია**

სუპერლიგა. X ტური
ნასიონალი 0:2 მარიტიმუ

**ბელგია**

იუპილერლიგა. XIII ტური
რუზელარე 4:3 მონსი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XIII ტური
მიუნხენი 0:0 გლადბახი

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XVI ტური
გრენობლი 2:0 მონპელიე

**უნგრეთი**

ბორსოდი ლიგა. XIV ტური
მტკ 3:0 რეაკი

**იტალია**

სერია C1/B. XIII ტური
სალერნიტანა 1:0 ანკონა

**ნორვეგია**

გადასასვლელი პლეი ოფი
საპასუხო მატჩი
ბოდიო გლიმტი 3:2 ოდ გრენლანდი (1:0)

**რუმინეთი**

I ლიგა. გადადებული მატჩი
სტიაუა 0:0 პანდურიი

**სლოვაკეთი**

I ლიგა. XVI ტური
ტრენჩინი 1:2 სლოვანი

**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა
XIII ტური
სპარტა 3:1 ბოჰემიანსი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას
უცხადებს დიმიტრი ობოლაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო

# შოთა ერთადერთია

**არა** და არ დაადგა საშველი ესპანური „ლევანტეს" ქართველი ფეხბურთელის, შოთა არველაძის გამოჯანმრთელებას. ჩვენებური ვალენსიური კლუბის ერთადერთ ტრავმირებულ ფეხბურთელად რჩება, ამასობაში კი, გუნდი ბოლო ადგილზეა და სპეციალისტების აზრით, ელიტიდან დაქვეითების ყველაზე რეალური კანდიდატია.

შოთა არველაძის მოედანზე დაბრუნებამდე კი ჯერ შორია. კლუბის ვებგვერდის ცნობით, ქართველი თავდამსხმელი ფიზიოთერაპევტისა და გუნდის ექიმის მეთვალყურეობით მსუბუქად ვარჯიშობს და აღდგენით პროცედურებს იტარებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ახალგაზრდული ნაკრების სატკივარი



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

**20 ნოემბერს** საქართველო — რუსეთია და მგონი, ლაპარაკი ზედმეტია სატურნირო ცხრილზე და მატჩი რანგზე: უმნიშვნელოვანესი თამაშია.

21-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პეტარ სეგრტის გაწვრთნილი ქართველები რუს თანატოლებს მასპინძლობენ — შეხვედრა თბილისის „მიხეილ მესხზე" 19 საათზე დაიწყება.

სამწუხაროდ, ჩვენები ჩრდილოელ მეზობლებს ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდებიან. სეგრტის გამოძახებული კრებული შეთხელდა — ტრავმების გამო გუნდს გამოაკლდნენ გიორგი მერებაშვილი, გურამ კაშია, დავით მჭედლიშვილი და გიორგი ფოფხაძე, ვინაც ხელი მოიტეხა და, სავარაუდოდ, ორი თვე ვერ ითამაშებს. ნაკრებში ვერ ჩამოვიდა „ციურიხის" 21-წლამდელთა გუნდის თავდამსხმელი გიორგი ივანიშვილიც: გადატვირთული სასწავლო გრაფიკის გამო არ გამოუშვიათ.

ქართველთა ხორვატმა თავკაცმა მათ ნაცვლად ოთხ ფეხბურთელს უხმო: „ამერის" გიორგი ელბაქიძეს, „სიონის" გიორგი თავბერიძეს, „ოლიმპის" გიორგი კახელიშვილს და „მესხეთის" თემურ აფრიამაშვილს.

გუშინ ქართველი ახალგაზრდები ავტობუსით ტრაპიზონში გაემგზავრნენ შეკრებაზე, სადაც თურქეთის ნაკრების ბაზაზე მოემზადებიან. ჩვენები 19 ნოემბერს ტრაპიზონ-თბილისის ავიარეისით დაბრუნდებიან.

— სამწუხაროდ, ბევრი ფეხბურთელი დაგვაკლდება. ერთადერთი, მერებაშვილის პატარა იმედი გვაქვს — იგი თბილისში დარჩა და თუ 20 ნოემბრამდე გამოჯანმრთელდება, შეიძლება, ითამაშოს კიდეც. ამას დაამატეთ ნუკრი რევიშვილის, რატი წინამძღვრიშვილის, ბესიკ ჩიმაკაძის ტრავმები... თანაც, რამდენიმე ფეხბურთელი კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა: ამირან სანაია, როინ კვასხვაძე, ლევან მჭედლიძე, გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია, ჯაბა კანკავა, შოთა გრიგალაშვილი... ერთიც, როდესაც თბილისში დავბრუნდებით, მე და ტოპმიოლერი დავილაპარაკებთ, შესაძლოა, ეროვნულის რომელიმე მოთამაშე მაინც ჩვენ დავიმატოთ, ან პირიქით, ჩვენგან გადავიდეს ვინმე ეროვნულში ლიტვასთან სათამაშოდ" — გვითხრა პეტარ სეგრტმა.

სადღეისოდ კი ქართველთა სარუსეთო შემადგენლობა ასეთია:

*მეკარეები:* *რევაზ თევდორაძე (მერანი), გიორგი ლორია (დინამო);*

*მცველები:* *მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გიორგი ჩიხრაძე (ოლიმპი), გიორგი თავბერიძე (სიონი);*

*ნახევარმცველები:* *მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), სანდრო კობახიძე (დინამო), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი);*

*თავდამსხმელები:* *რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია) ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).*

**ილია ნანოგაშვილი**



რობერტო დონადონი

# იტალიამ გლაზგო გამოაცხადა

**17 ნოემბერს** გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" დიდი ამბავი იქნება. ქართველებისგან გამწარებული შოტლანდია იტალიას მასპინძლობს და თუ ევრო 2008-ზე მოხვედრა სურს, უნდა მოიგოს. იტალიას კი ფრეც ხელს აძლევს, რაკილა 21 ნოემბერს შინ ფარერებთან რჩება თამაში და დარჩენილ ორ მატჩში 4 ქულა ჰყოფნის.

„სკუადრას" თავკაცმა რობერტო დონადონიმ ამჯერადაც არ გამოიძახა ალესანდრო დელ პიერო. მიზეზი? ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავმა მარცხენა ფლანგზე თამაში იუარა, დონადონი კი ალგა და დელ პიეროს თანაგუნდელი, ახალგაზრდა კრისტიანო პალადინო იხმო.

პალადინო პირველადაა იტალიის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული, თუმც ძალიან საეჭვო კია, ამ ბიჭმა ძირითადი შემადგენლობიდან ანტონიო დი ნატალე ამოაგდოს.

ტრავმის შემდეგ „ადურის" დაუბრუნდნენ ჯანლუკა ძამბროტა და მაურო კამორანეზი, ხოლო „ფიორენტინას" ორ ფეხბურთელს, რიკარდო მონტოლივოსა და ფრანკო სემიოლის დონადონიმ ამჯერად ალარ დაუძახა.

იტალიის ნაკრები გუშინ შეიკრიბა კოვერჩანოს ბაზაზე, გლაგზოში კი პარასკევს გაფრინდება...

*მეკარეები:* *ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო), ჯანლუკა კურჩი (რომა);*

*მცველები:* *ანდრეა ბარძალი (პალერმო), დანიელე ბონერა, მასიმო ოდო (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი), ფაბიო გროსო (ლიონი, საფრანგეთი), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), კრისტიან პანუჩი (რომა), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი);*

*ნახევარმცველები:* *მასიმო ამბროზინი (მილანი), ანდრეა პირლო (მილანი), ჯენარო გატუზო (მილანი), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), სიმონე პეროტა (რომა), დანიელე დე როსი (რომა);*

*თავდამსხმელები:* *ლუკა ტონი (ბაიერნი, გერმანია), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ფაბიო კვალიარელა (უდინეზე), რაფაელე პალადინო (იუვენტუსი), ვინჩენცო იაკინტა (იუვენტუსი), ალბერტო ჯილარდინო (მილანი), კრისტიანო ლუკარელი (შახტარი, უკრაინა).*

**ილია ნანოგაშვილი**

# რა წამალია თურქეთში?

## რუსული ავიარეისი: ბორი–ანთალია–თბილისი

**20 ნოემბერს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევრო 2009-ის შესარჩევი ეტაპის მატჩს გამართავს რუსეთთან. თუ ჩვენები ამ მატჩისთვის მოსამზადებლად გუშინ თურქეთში გაემგზავრნენ, რუსები დღეს 12 საათზე ბორის საწვრთნელ ცენტრში შეიკრიბებიან და სალამოს ვარჯიშს გამართავენ. გუნდის თავკაც ბორის სტუკალოვის განცხადებით, სად ივარჯიშებს გუნდი — მოედანზე თუ დარბაზში — ამინდზე იქნება დამოკიდებული. ხვალ კი ჩრდილოელებიც თურქულ ანთალიას მიაშურებენ, სადაც 17 ნოემბრამდე ივარჯიშებენ და საქართველოშიც იქიდან ჩამოვლენ.

რუსთა ნაკრები თბილისში სასტუმრო „შერატონში" დაბინავდება.

ადრე კი გამცნეთ, თუმც ერთხელაც ვნახოთ, რომელი ფეხბურთელები ემზადებიან სათბილისოდ...

*მეკარეები:* *სოსლან ჯანაევი (კამაზი), მიხაილ კერჟაკოვი (ზენიტი), ნიკიტა ტალალიხინი (ურალი);*

*მცველები:* *ვლადიმირ გრანატი (დინამო), სერგეი ეფიმოვი (ლოკომოტივი), ფიოდორ კუდრიაშოვი (სპარტაკი), რომან შიშკინი (სპარტაკი), იური ლებედევი (ზენიტი), ანდრეი ლუკაჩენკოვი (სკა), კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), დმიტრი იაჩენკო (ნალჩიკი);*

*ნახევარმცველები:* *პაველ გოლიშევი (მოსკვა), დმიტრი კომბაროვი (დინამო), კირილ კომბაროვი (დინამო), ანდრეი ნაგუმანოვი (ტექსტილშჩიკი), ოლეგ სამსონოვი (ნალჩიკი), ვიქტორ ფაიზულინი (ნალჩიკი), ივან ტარანოვი (ცსკა);*

*თავდამსხმელები:* *ნაზირ კაჟაროვი (ნალჩიკი), ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი).*

# რატომ არ ათამაშებენ ხიზანიშვილს?

## ინგლისური ვერსია და ასოთწყობა

**საქართველოს** ნაკრების მცველ ზურაბ ხიზანიშვილისთვის მიმდინარე სეზონი ალბათ ერთ-ერთი უარესია კარიერაში — ინგლისური „ბლექბერნის" თავკაცი მარკ ჰიუზი ჩვენებურს ცოცხალი თავით არ აყენებს ძირითად შემადგენლობაში და, შეიძლება ითქვას, ხიზანიშვილმა პრემიერლიგის პირველი წრე პირწმინდად ჩაგდო.

თუმცა ბრიტანულ BBC-ს ხიზანიშვილის ართამაშის თავისებური „მიზეზი" აქვს...

გუშინწინ, „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩში (0:2) ჰიუზმა ათამაშა დეივიდ ბენტლი, ვისი გვარიც ასე იწერება: BENTLEY. ინგლისელი ჟურნალისტების მახვილ თვალს კი ბენტლის მაისურზე წაწერილი გვარის ასოთწყობა არ გამოეპარა (მაისურაზე BETNLEY ეწერა) და ირონიულად იკითხეს: „თუ „ბლექბერნის" ხელმძღვანელები ვერ გამოთქვამენ სიტყვას „ბენტლი", მაშინ უკვე გასაგებია, რატომაც ვერ ხვდება შემადგენლობაში ზურაბ ხიზანიშვილი..."

**კახა ზალამბერიძე**






# ანატოლი პისკოვეცთან კონფლიქტი ამოწურულია



რუსთავის „ოლიმპის“ მეკარე მიხეილ ალავიძე ერთ-ერთ პერსპექტიულად ითვლება საქართველოში, თუმცა წლევანდელი სეზონი მისთვის არცთუ სახარბიელო გამოდგა — ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად თამაში აღარ უწევს, რაც კონკურენციის გარდა, ხშირი ტრამვიანობის ბრალიცაა. ჩემპიონების მეკარე ახალგაზრდულ ნაკრებშიც ველარ ხვდება...

მიხეილს გუშინ შევეხმიანეთ და საკლუბოს გარდა სანაკრებო ამბებზეც ვკითხეთ...

— ჩემპიონატში მომხდარი იძულებითი პაუზა პრობლემას არ მიქმნის — მერე ხომ მაინც მოგვიწევდა დასვენება. რაც შეეხება ჩვენი გუნდის წლევანდელ ამბიციებს, მიზნად სამეულში მოხვედრა გვაქვს, კონკურენტებად კი „ზესტაფონს“, „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „ამერს“ მივიჩნევ.

— **წინა სეზონისგან განსხვავებით, ძირითადში სტაბილურად თამაში აღარ გიწევს, როგორ ფიქრობ, ეს რისი ბრალია?**

— თავიდან მე და მირზა მერლანი მონაცვლეობით ვთამაშობდით, მერე კი ტრავმა მივიღე და ძირითადში ადგილი დავკარგე. ახლა ნელნელა შევდივარ ფორმაში და იმედი მაქვს, ადგილს დავიბრუნებ. ისე, მერლანი ძლიერი კონკურენტია.

— **წინა და ახლანდელ ჩემპიონატებს შორის განსხვავებას თუ ხედავ, დონე გაუმჯობესდა?**

— გუნდებს შორის ისეთი განსხვავება აღარ არის, როგორიც შარშან იყო. რამდენიმე ერთი დონის გუნდი მოგროვდა. ახლა ბევრ თამაშში გაგიჭირდება ფავორიტის დასახელება, უეჭველად მოიგებსო, ვერ იტყვი. გამოკვეთილი ლიდერები მაინც „ზესტაფონი“ და „დინამო“ არიან.

— **როგორ ფიქრობ, ყველაზე მეტად რაში გაქვს მოსამატებელი?**

— სავარჯიშო ბევრია. მაგალითად, გამოსვლებზე სტაბილურობა მაკლია.

— **ახალგაზრდების უმეტესობა კარიერის გაგრძელებას საზღვარგარეთ ამჯობინებს, შენც ხომ არ ფიქრობ კლუბის გამოცვლას?**

— სეზონის ბოლომდე რუსთავში დავრჩები. თუ რეალური შემოთავაზება არ მექნება, ისე წასვლას რა აზრი აქვს?! თამაშის საშუალება მუდმივად უნდა მქონდეს, რათა წინსვლა შევძლო. სჯობს, უფრო სუსტ გუნდში წავიდე და სტაბილურად ვითამაშო, ვნახოთ...

— **ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. მწვრთნელთა ყურადღებას ვერაფრით იმსახურებ და ალბათ გული გწყდება...**

— ბუნებრივია, გული მტკივა, რომ არ მიძახებენ, მაგრამ რას ვიზამ. თუ რატომ არ არის მწვრთნელი ჩემით დაინტერესებული, ეს მან უნდა განმარტოს.

— **„ოლიმპის“ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცთან კი მცირე უთანხმოება გქონდა. ახლა როგორია თქვენი ურთიერთობა?**

— ყველაფერი გარკვეულია, მწვრთნელთან არანაირი პრობლემა არ მაქვს.

**ლექსო მაისურაძე**



# ხუთი ჯვარი და რვა გოლი

ყაზახეთში სეზონი დასრულდა და ყარაგანდის „შახტიორი“ მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაო ერგოთ რევაზ ძოძუაშვილს, ლაშა ნოზაძეს და ლევან მელქაძეს. მელქაძე ყოფილი მწვრთნელის, ფინელი იუჰა მალინენის დროს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, ძოძუაშვილის მისვლის შემდეგ კი ძირითადშიც მოხვდა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. მიხაილ მიხოლაპსთან ერთად 8 ბურთით ლევანი გუნდის მთავარმეგოლე შეიქნა, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიხოლაპსმა ერთი გოლი პენალტით გაიტანა და თან „ღრეჯოზე“ რვით მეტი მატჩი ჩაატარა. მელქაძე მხოლოდ ბოლო, „შახტიორისთვის“ არაფრისმომცემ მატჩში ათამაშა ძოძუაშვილმა შეცვლაზე, თუმც ლევანმა „ალმატის“ მაინც გაუტანა და გუნდსაც ქულა მოუტანა. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ ესაუბრნენ ჩვენებურს ყაზახი ჟურნალისტები...

— პირველ ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. საკმარისია, მარტო ლოვჩევის მეკარესთან პირისპირ გასვლა გავიხსენოთ. გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გავუშვით, რაც არასასიამოვნო იყო, თუმცა მალევე გავათანაბრეთ და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ დაღლილობამ იჩინა თავი და ვერ გამოვიყენეთ.

— **თავიდანვე რომ გეთამაშათ, მეტს გაიტანდით?**

— რატომაც არა?! ფეხბურთი ამოუცნობი თამაშია...

— **საკლუბო მაისურის ქვეშ სხვა მაისურა გაცვიათ, საქართველოს ნაციონალური სიმბოლიკით. დღევანდელი გოლის მერე მისი დემონსტრირებაც მოახდინეთ. ეს რას ნიშნავდა?**

— ეს ჩემი იღბლიანი მაისურაა. ყაზახეთში ჩამოსვლის დღიდან ვატარებ. მაისურაზე ჯვარიც არის გამოსახული. მე მწამს ღმერთი და მას დახმარებას ვთხოვ.

— **თუმცა ნაციონალური სიმბოლიკის გარდა, მაყურებელმა ათლეტური მოყვანილობაც იხილა...**

— ამის გამოჩენა დაგეგმილი არ მქონია, უფრო ემოციების ფონზე მოხდა.

— **ახლახან ქართველებმა შოტლანდიის ნაკრებს მოუგეს. თქვენ თუ მოგცათ ამან რაიმე დადებითი მუხტი?**

— რა თქმა უნდა. მეც მინდა, ეროვნულ ნაკრებში ვითამაშო. ვნახოთ, მომავალში რა იქნება...

— **სეზონი უკვე დასრულდა, თქვენი კონტრაქტიც იწურება. რა მიზნები გაქვთ?**

— წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. მომავალი გვიჩვენებს.

# ივანიშვილ-ყაველაშვილის გოლიც და... სკოლაც



**მიხეილ ყაველაშვილის** გერი, გიორგი ივანიშვილი რომ შვეიცარიული „ციურიხის“ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელია, ეს არახალია.

18 წლის თავდამსხმელმა ამასწინათ 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშა ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის წინააღმდეგ და არცთუ ურიგოდ: აშკარაა, მას ტექნიკაც აქვს და სისწრაფეც, ეგაა, თვალშისაცემია, რომ მეორე ტაიმში იღლება. თანაც, ხან მარჯვენა გარემარბად თამაშობდა, ხან ცენტრფორვარდად, ხანაც ნახევარდაცვაში...

რომ არ დაიბნეთ, ამ ქერათმიან ბიჭს საქართველოში ივანიშვილად იცნობენ, „ციურიხში“ კი — ყაველაშვილად. ჩვენ ქართულ ვარიანტზე შევთანხმდეთ, მით უმეტეს, გიორგის ნამდვილი გვარი სწორედ ივანიშვილია.

ივანიშვილმა პირველად ითამაშა „ციურიხის“ 21-წლამდელთა გუნდში, „რედ სტართან“ 90 წუთი იბურთავა და პირველი ტაიმის შუაში ანგარიშიც გახსნა. დებიუტიც ამას ჰქვია!

ციურიხელებმა 3:0 იმარჯვეს.

ცნობისთვის: მიხეილ ყაველაშვილის გერი შარშან გამოჩნდა „ციურიხის“ 18-წლამდელთა გუნდში და ერთხელ პოკერიც კი გაახერხა.

გეცოდინებათ, ივანიშვილი პეტარ სეგრტმა რუსეთთან სათამაშოდ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახა, თუმც ვერ ჩამოვიდა — როგორც გვითხრეს, გადატვირთული სასწავლო გრაფიკი ჰქონია და იმიტომ...

**ილია ნანობაშვილი**

# თარგამაძე ტაქტიკამ ნაადრევად შეცვალა

**მორიგი** მატჩი გამართა „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდმა და შტუტგარტელ თანატოლებთან 0:5 დამარცხდა.

ამ წაგებით „ფრაი“ პირველი ადგილიდან ერთბაშად მეექვსეზე დაქვეითდა.

„შტუტგარტთან“ მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო დავით თარგამაძემ, თუმც 32-ე წუთზე შეცვალეს. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელის ნაადრევად შეცვლის მიზეზი ტრავმა გვეგონა, თუმც, როგორც გავარკვიეთ, მანამდე „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი გაძევეს და ტაქტიკური თვალსაზრისით, მწვრთნელმა ქართველის შეცვლა არჩია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევაზ ძოძუაშვილი დარჩენის მომხრეა



**სამი** თვე იყო რევაზ ძოძუაშვილი ყარაგანდის „შახტიორის“ მთავარი მწვრთნელი და გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა. კლუბის ხელმძღვანელობა ამ შედეგს წარმატებულად მიიჩნევს, თუმც ძოძუაშვილს კონტრაქტის ვადა ამოეწურა და როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერჯერობით უცნობია.

„დავალება, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ დაგვისახა, შევასრულეთ. ახლა სიტყვა მათზეა. მოხარული ვიქნები, თუ ისევ შევძლებ, დავეხმარო ყაზახურ ფეხბურთს“ — უთხრა ჟურნალისტებს ძოძუაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

„სევილიასთან“ ნაგების შემდეგ „რეალის“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს ცხელ გულზე მსაჯი შემოელანძღა, ბარსელონელია და იმიტომაც ჩაგვძირაო, მერე კი მედიას გაებუტა, არბიტრზე ცუდი არაფერი მითქვამს, ყველაფერი თქვენი შეთხზულიაო.
ერთი ხანობა შუსტერმა ინტერვიუებზე უარიც თქვა, თუმცა შემდეგ მოლბა და „მალიორკასთან“ ნამატჩევს მადრიდულ „ასს“ გაესაუბრა...

# ვინც წააგო, მსაჯიც იმან გალანძღოს



— „მალიორკასთან“ შეხვედრას როგორ შეაფასებთ?

— უხვგოლიანი თამაში გამოდგა. ამაში დიდი წვლილი „მალიორკასაც“ მიუძღვის. მეტოქე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სათამაშოდ ჩამოვიდა და არა ისე, ზოგიერთი გუნდი რომ აკეთებს, „რეალთან“ მატჩში პირველიდან ბოლო წუთამდე დაცვაში იკეტება. „მალიორკამ“ შემტევი სტილი ამჯობინა. თუმცა 4:3 ჯობს, ვიდრე 1:0...

— რობინიომ ისევ კარგად ითამაშა. მასზე რას გვეტყვით?

— ბოლო რამდენიმე მატჩში რობინიომ მაღალ დონეზე ითამაშა, ისე, როგორც მისგან ველოდებოდით. მეტოქეებმა იციან, რომ რობინიოს შეჩერება ძალიან ძნელია. იმედია, თამაშს მომავალშიც ასე გააგრძელებს. საერთოდ კი, ეს „რეალია“ და ჩვენც რობინიოს, ვან ნისტელროის, რაულისა და სნაიდერის მსგავსი ფეხბურთელები გვჭირდება.

— ადრინდელთან შედარებით, რობინიო უფრო სტაბილურიცაა...

— იგი ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. რობინიო „რეალის“ მოთამაშეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარება უკვე აღარ სჭირდება.

— „რეალს“ ტრავმამოშუშებული პეპე დაუბრუნდა და, საერთოდ, ტრავმირებულები ნელ-ნელა გიბრუნდებიან...

— ცხადია, გამიხარდება, თუ გუნდში ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად მეყოლება. თითოეული მათგანი გვჭირდება. პეპე უკვე ჩვენთანაა, მალე არიენ რობენიც დაგვიბრუნდება.

— „სევილიასთან“ წაგებულ მატჩში მსაჯის მიუკერძოებლობაში ეჭვი შეიტანეთ — ბარსელონელიაო. ახლა „მალიორკასთან“ გაიმარჯვეთ, თამაშს კი ალმერიელი არბიტრი სჯიდა. მის მიმართაც გაქვთ რამე პრეტენზია?

— ამ შემთხვევაში არანაირი პრეტენზია არ მაქვს.

— მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფერნანდეს ბორბალანის მსაჯობა „მალიორკას“ მწვრთნელმა გრეგორიო მანსანომ გააკრიტიკა...

— „სევილიასთან“ მეც ასე მოვიქეცი... მანსანოს უკმაყოფილება ნორმალური ამბავია.

# შილაჯობა



**ფრანკ რაიკარდმა** ახლა უკვე „ბარსელონას“ თავკაცობაც დააბნია. საამსეზონოდ მწვრთნელს კატალონიური გუნდის სტუმრად ჩატარებული უსახური მატჩებისთვის აქამდე მარტო გულშემატკივრები ემდუროდნენ, დღეს კი ჰოლანდიელს უფროსობაც ეჭვის თვალით უყურებს.

„მეტოქეთა თამაშს ვერაფერს ვუპირისპირებთ, ადრე ნაცად სქემას დღეს ზარალის მეტი არაფერი მოაქვს... არ ვიცი, სიტუაციის გამოსასწორებლად დაცვას მივაქციო მეტი ყურადღება, თუ პირიქით, აქცენტი იერიშებზე გადავიტანო“ — უთხრა „ბარსელონას“ მწვრთნელმა „ხეტაფესთან“ წაგებული მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს.

რაიკარდის ეს კომენტარი სრული სახით გუშინ გაგაცანით, ახლა კი მწვრთნელის ჩივილზე ესპანური გაზეთების გამოხმაურებას გავეცნოთ.

„სპორტი“ და სხვა პირინეული გაზეთები აცხადებენ, რომ „ბარსას“ დირექტორატისთვის დაბნეული და სასოწარკვეთილი რაიკარდი, ვინც სიტუაციის გამოსასწორებლად უკვე აღარ იცის, რა იღონოს, დიდი ვერაფერი დამხმარეა და მალე „კამპ ნოუზე“ ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

„ხეტაფესთან“ უსახურ მარცხს წინ „ბარსელონას“ სანტანდერში, პამპლონაში, ვილიარეალში და ვალიადოლიდში განცდილი კოშმარები უძღოდა. ამ კოშმარებიდან კი „ბარსას“ სათანადო გაკვეთილი უნდა გამოეტანა და გასვლით მატჩებში სულელური შეცდომები აღარ დაეშვა.

როცა ლა ლიგას მესამე ტურში „ბარსამ“ „ოსასუნასთან“ უგოლო ფრე ითამაშა, გუნდის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ფრანკ რაიკარდს სათათბიროდ უხმო და სიტუაციის ახსნა მოსთხოვა.

ჰოლანდიელმაც პრეზიდენტს უთხრა, რომ ყველაფერი კარგადაა, შემადგენლობას რკინის ხელით მართავს და ვითარებას მალე გამოასწორებს.

ამის შემდეგ ბარსელონელებმა ზედიზედ ოთხ მატჩი („სევილია“, „სარაგოსა“, „ლევანტე“, „ატლეტიკო“) მოიგეს, ხოლო „ვილიარეალთან“ წაბორძიკება ოდენ საწყენ შემთხვევითობად ჩაითვალა.

„ხეტაფესთან“ წაგების მერე ხუან ლაპორტა, სავარაუდოდ, რაიკარდთან რთულ მასლაათს მიუბრუნდება, რათა ავბედით გასვლით მატჩებთან დაკავშირებით საქმე ერთხელ და საბოლოოდ გაარკვიოს. თუმც პრეზიდენტისა და მისი გარემოცვისთვის მარტო მწვრთნელი არ არის დამნაშავე, მთელმა ქვეყანამ ნახა ფრანკის შეგირდები „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე“ თუ სხვა სტადიონებზე („კამპ ნოუს“ გამოკლებით) რა უნდილად ირჯებიან.

საამსეზონო პრიმერაში ჰოლანდიელის გუნდმა „კამპ ნოუს“ გარეთ 18 შესაძლებლიდან მარტო 6 ქულა აიღო. მედიამაც განგაში ატეხა. „სულაც არ სჭირდება ბევრი დაკვირვება იმას, რომ ფრანკ რაიკარდი და მისი თანაშემწეები, იოჰან ნეესკენსი და ეუსებიო საკრისტანი ფეხბურთელებს ზედმეტად ლმობიერად ექცევიან. ამ გადამეტებული ლიბერალობის გამო მოდუნებული „ბარსელონა“ „ხეტაფესთან“ და სხვა რამდენიმე მატჩში საბრალო სანახავი იყო“ — წერს „სპორტი“.

კატალონიაში დეკუს და ეტოოს იმედი აქვთ. დღეს ეს ორი ფეხბურთელი ტრავმირებულია, მაგრამ როდესაც ბურთს და მოედანს დაუბრუნდებიან, სავარაუდოდ, „გაზარმაცებული“ „ბარსა“ იმიჯს შეიცვლის — ბრაზილიელსაც და კამერუნელსაც საქმისადმი არნახული თავდადება და მოედანზე ბოლომდე ბრძოლა ახასიათებთ.

ახლა გასარკვევი ისაა, ეტოოს დაბრუნება ძირითადი შემადგენლობიდან რომელ FANTASTICO-ს ამოაგდებს: ანრის, მესის, თუ რონალდინიოს.

სუსტი მხარეები სამივე მოიერიშეს აქვს — ფრანგმა „ბარსელონაში“ იმედები ვერ გაამართლა (ვიმეორებთ, რომ ეს იქაური მედიის მოსაზრებაა), მესი გასვლით მატჩებში ვერ ბრწყინავს, ხოლო „კიჭამ“ „ხეტაფესთან“ კარიერაში ერთ-ერთი უცუდესი თამაში ჩაატარა.

წინ კიდევ რთული მატჩია, ბარსელონური დერბი „ესპანიოლთან“. იქამდე „ბარსა“ „კამპ ნოუზე“ მისულ „უელვას“ ალბათ როგორმე მოუვლის, „მონჟუიკზე“ მატჩის შედეგს კი სავარაუდოდ, ჰოლანდიელი მწვრთნელის ბარსელონურ კარიერაზე დიდი გავლენა ექნება.

**ლადო ხომერიკი**

# ერთი პენალტი ორ მოქმედებად



*პირველი მოქმედება*

„ალმერიას“ მწვრთნელმა უნაი ემერიმ ესპანელ ჟურნალისტებთან ოცდაათკაციანი სუფრა წააგო. „თქვენ გგონიათ, ჩემი გუნდი „ატლეტიკოსთან“ გოლს ვერ გაიტანს? ძალიან ცდებით, ასე თუ ფიქრობთ. სანაძლეო დავდოთ და თქვენი მოგების შემთხვევაში მატჩის შემდეგ ყველას რესტორანში გეპატიჟებით“ — თქვა ემერიმ „ათლეტებთან“ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე. დარბაზში კი ამ დროს 30 ჟურნალისტი იჯდა.

თამაში 0:0 დასრულდა და სენიორ ემერისაც, თუ სიტყვის კაცია, დანაპირების ასრულება მართებს. ისე, მატჩი „ალმერიას“ უპირატესობით წარიმართა და უიღბლობა რომ არა, „ატლეტიკოს“ მადრიდში დაბრუნება უქულოდ მოუწევდათ. ყველაფერთან ერთად 30-ე წუთზე ალმერიელმა მელომ პენალტიც გააფუჭა.

*მეორე მოქმედება*

მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარე ლეო ფრანკო ანდალუზიური გუნდებისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. არგენტინელმა გოლკიპერმა „ატლეტიკოში“ მისვლის მერე ჩემპიონატში უკვე მეშვიდე პენალტი მოიგერია და ამათგან შვიდივე ფრანკოს ანდალუზიური გუნდების ფეხბურთელებმა დაურტყეს.

ბოლო პენალტი ფრანკომ პრიმერას წინა ტურში „ალმერიას“ გაუცუდა. არგენტინელმა ფელიპე მელოს დარტყმა უკუაგდო.

2004-05 წლების სეზონში ლეო ფრანკომ „მალაგასთან“ აიღო პენალტი. მომდევნო კამპანიაში, ოკეანისგაღმელმა „სევილიასთან“ ერთ მატჩში ორი პენალტი მოიგერია. წინა სეზონში კი სამჯერ ივაჟკაცა — ორჯერ „ბეტისთან“ და ერთხელაც „უელვასთან“.

**ლადო ხომერიკი**



# პოლიციელის ჩვენებიდან: არ შეიძლებოდა...

**იტალიაში** ფანებს შორის დაპირისპირება უკვე ძალიან სახიფათო ფორმას იღებს. ამ შეხლა-შემოხლებში ძალაუნებურად პოლიციელებიც ერთვებიან და ვითარება ხშირად უმართავიც ხდება. წელს იტალიაში ფეხბურთთან დაკავშირებული უკვე მეორე მკვლელობა მოხდა.

კვირას პოლიციელის ნასროლი ტყვიით მოკლული გაბრიელე სანდრის შესახებ სიუჟეტებმა, სტატიებმა, კომენტარებმა და ამბებმა ელვის სისწრაფით შემოიარა და შეძრა მსოფლიო.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია მცდარი ყოფილა და სანდრი 26 წლის კი არა, 28-ის გახლდათ. თუმცა დაგვეთანხმებით, რომ ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

იგი რომში — და არა მარტო რომში — საკმაოდ ცნობილი დიჯეი გახლდათ. მეტსახელად „გაბოს“ და „ლე გაბრიელს“ ეძახდნენ. მას კარგად იცნობდნენ „ლაციოს“ ხელმძღვანელებიც და ფეხბურთელებიც. როგორც იცით, სანდრი „ბიანკოჩელესტის“ ქომაგი გახლდათ.

ტრაგიკული ინციდენტი არეცოში, გზისპირა რესტორანთან მოხდა. სწორედ იქ გადაიკვეთა „ლაციოსა“ და „იუვენტუსის“ ულტრასი ფანების გზები და მათ შორის ჩხუბი ატყდა.

სამართალდამცავებმა ვითარების განმუხტვა სცადეს. იყო რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა. პოლიციის ვერსიით, სწორედ ერთ-ერთი ჰაერში ნასროლი ტყვია მოხვდა მანქანაში მჯდომ სანდრის. ეს ვერსია ეჭვს თავისთავად ბადებს.

„მე ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა გავაკეთე. ჩემს საქციელზე პასუხს ვაგებ. მინდოდა, ქომაგებს შორის შეხლა-შემოხლა თავიდან ამეცილებინა. უბრალოდ, არ შეიძლებოდა, ტყვია მას მოხვედროდა, არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა...“ უთქვამს აღელვებულ პოლიციელს, რომლის ვინაობაც გასაიდუმლოებულია.

პოლიციისგან აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვთ სანდრის ოჯახის წევრებს, ოჯახის ადვოკატსა და სხვადასხვა კლუბების ფანებს. ამის საფუძველიც არსებობს. ამბობენ, რომ სანდრი უკვე ტოვებდა იქაურობას, როცა მას, პოლიციის თქმით, ჰაერში ნასროლი ტყვია მოხვდა.



AFP

## ის, რამაც ლაციო და რომა გააერთიანა
## მილანში ლევან კალაძეც გაიხსენეს

„ეს არ არის შეცდომა და შემთხვევითობა. ყველაფერი სასამართლოზე გამოჩნდება. დამნაშავეები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ“ — თქვა შემთხვევის ადგილზე მისულმა სანდრის ნამტირალევმა ძმამ.

„ეს აშკარა მკვლელობაა, მოწმეებიც მრავლად არიან და მინდა, რომ ჟურნალისტებმა ამაზე დაწერონ“ — განაცხადა ოჯახის ადვოკატმა ლუიჯი კონტიმ.

ბუნებრივია, გამოძიება დაწყებულია, ჩატარდა ექსპერტიზა, დაიკითხნენ მოწმეები და უახლოეს დღეებში, ალბათ, ამ ტრაგიკულ ინციდენტზე უფრო მეტს გავიგებთ.

სანდრის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში გადაწყდა, რომ „ინტერი“ — „ლაციო“ აღარ გაიმართებოდა. მოგვიანებით გადაიდო „რომა“ — „კალიარიც“, რადგან რომში „რომას“ და „ლაციოს“ ულტრასები ერთად დაირაზმნენ და პოლიციაზე შურისძიება დაგეგმეს. შესაბამისად, ზედმეტი აურზაურის თავიდან აცილების მიზნით, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გასამართი მატჩიც გადაიდო.

მიუხედავად ამისა, პოლიციამ უსიამოვნო ინციდენტები თავიდან ვერ აირიდა და ხალხის დასაშლელად ძალის გამოყენება მაინც დასჭირდა, რადგან გაბოროტებულმა და გაბრაზებულმა ფანებმა იტალიის სხვადასხვა ქალაქებში არეულობა მოაწყვეს. არიან დაშავებულები და რამდენიმე ულტრასი სამართალდამცავებმა დაიჭირეს კიდეც.

იყო პროტესტის სხვანაირი ფორმაც — ტელეკომპანია „რაის“ წინ კლუბების ფანები შეიკრიბნენ ამ შინაარსის დიდი ტრანსპარანტით: „რაჩიტის გამო ქვეყანა შეძარით და ჩემპიონატი შეწყვიტეთ, ერთი ქომაგის მკვლელობა კი ალბათ არაფერს ნიშნავსო.

შეგახსენებთ, რომ ოფიცერი ფილიპო რაჩიტი 2 თებერვალს „კატანია“ — „პალერმოს“ სიცილიური დერბის მერე ატეხილი ჩხუბისას მოკლეს. თავიდან ამბობდნენ, იგი „კატანიას“ ფანის მიერ ნასროლი ხელნაკეთი ბომბით დაიღუპაო, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ რაჩიტი უცნობი საგნის ჩარტყმამ იმსხვერპლა. მისი 17 წლის მკვლელი ახლა ციხეში ზის.

რაჩიტის მკვლელობამ იტალიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. გადაიდო სერია A-ს მთელი ტური და „სკუადრა აძურას“ ერთი მატჩიც. ამას სტადიონზე უსაფრთხოების ზომების და მოქცევის წესების გამკაცრება მოჰყვა.

„როგორ შეუძლიათ, საკუთარ თავს ფანები უწოდონ. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ისინი დამნაშავეები არიან. ჩემი აზრით, ამგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა არსებობს — სტადიონების დახურვა“ — თქვა მაშინ რაჩიტის ქვრივმა.

იტალიური ფეხბურთის მამები ასეთი მკვეთრი გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებენ. ვარაუდობენ, რომ რეალური გამოსავლის პოვნამდე, შესაძლოა, კლუბების ქომაგებს თავიანთი საყვარელი გუნდის გასვლით მატჩებზე დასწრება აუკრძალონ, რათა ულტრასებს შორის შეტაკებები შემცირდეს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე: „ეს კიდევ ერთი სამწუხარო და ტრაგიკული დღეა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. პირველ რიგში, მინდა, მივუსამძიმრო გაბრიელე სანდრის ოჯახს. ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი, მით უმეტეს, ასეთ ვითარებაში, საშინელებაა... თუმცა ეს ტრაგედია სულ სხვა გარემოებაში მოხდა, ვიდრე ფილიპო რაჩიტის მკვლელობა და ამ ორი ინციდენტის შედარება არ შეიძლება.“

სერია A-ს კვირის მატჩები 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო, მათ შორის, „ატლანტა“ — „მილანიც“. თუმცა რამდენიმე წუთში ეს შეხვედრა შეწყდა, რადგან ბერგამოელი ქომაგები ისეთი აგრესიულები იყვნენ, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

„ჩვენ უკვე დავიწყეთ საკუთარი გამოძიება და ის ფანები, რომლებმაც აგრესია გამოიჩინეს, აუცილებლად დაისჯებიან. მათ სტადიონი დაარბიეს, ვითარება დაძაბეს და მატჩი ჩაშალეს. რასაკვირველია, შეძრულები ვართ მომხდარი ტრაგედიით და დიდ მადლობას ვუხდით იმ ქომაგებს, რომლებიც სტადიონზე თამაშის სანახავად მოვიდნენ და მომხდართან დაკავშირებით პროტესტი თუ თანაგრძნობა ცივილიზებული ფორმებით გამოხატეს“ — ნათქვამია „ატალანტას“ ოფიციალურ განცხადებაში.

ბერგამოელთა კაპიტანი კრისტიანო დონი: „მე და რამდენიმე თანაგუნდელი ფანებთან მივედით და მათ დამშვიდებისკენ მოვუწოდეთ. თუმცა მათ მითხრეს, რომ თუ თამაშს გავაგრძელებდით, რაღაც ძალიან სერიოზული და ცუდი მოხდებოდა. ამიტომ იძულებულნი ვახდით, მატჩი შეგვეწყვიტა.“

„ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო, მაგრამ რადგან გადაწყდა, რომ მატჩი უნდა ჩატარებულიყო, წესი უნდა დაგვეცვა და გვეთამაშა. მერე რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა“ — თქვა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა კი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კომენტარი გააკეთა: „არაფერი ვიცი, ვერ გეტყვი, რა მიზეზით ჩაიშალა მატჩი. მინდა, შეგახსენოთ, რომ ჩვენს თანაგუნდელ კახა კალაძეს ძმა რომ მოსტაცეს და მოუკლეს, არც ფედერაციას და არტც „ლეგა კალჩოს“ რეაგირება არ მოუხდენიათ.“

„ლაციოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველი ლორენცო დე სილვესტრი: „განადგურებული ვარ. გაბრიელე სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში. 18 წლის რომ გავხდი, ჩემს დაბადების დღეზე დიჯეი იყო და მას მერე ვმეგობრობდით. „კალიარისთან“ მატჩის მერე ჩემი მაისურაც კი ვაჩუქე. დაღუპვამდე რამდენიმე საათით ადრე მესიჯიც მომწერა: დილამდე ვმუშაობდი და ახლა წამოვედი მილანისკენო. ბუნებრივია, „ინტერთან“ თამაშზე დასასწრებად მოდიოდა. ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდა. იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა. ფაქტია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ასეთი საშინელი ინციდენტები მოხშირდა.“

„ჩვენ ერთი დიდი ოჯახი გვყავს და გუნდის გულშემატკივრის დაღუპვა, თან ასეთ ვითარებაში, ნამდვილი ტრაგედიაა. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, ვცადე, მაქსიმალურად დაწვრილებით გამერკვია დეტალები. იმედია, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება, რადგან გასარკვევი ბევრი რამაა. ბუნებრივია, ერთ-ერთი პირველი მე გახლდით, „ინტერთან“ შეხვედრის გადადება რომ ვითხოვე, რადგან ამ ვითარებაში თამაში გაბრიელეს ხსოვნის, მისი ოჯახისა და დანარჩენი ფანების შეურაცხყოფა იქნებოდა“ — განაცხადა „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ.

დაბოლოს, კვირას „ლაციოს“ დაახლოებით 200 ქომაგი შეიკრიბა გაბრიელე სანდრის ხსოვნის პატივსაცემად ეუკლიდეს მოედანზე. მათ ხელში ანთებული სანთლები ეკავათ.

**გიორგი კაკაბაძე**


AFP


AFP


AFP




AFP

# ერთი ნაბიჯი წინ, რვა ნაბიჯი უკან

**ძალიან მძიმე გამოდგა სერია A-ს მე-12 ტური, რომელიც „ლაციოს“ ქომაგის გაბრიელე სანდრის ტრაგიკულად დაღუპვის მიუხედავად კი გაიმართა, თუმცა 10 მატჩის ნაცვლად, მხოლოდ შვიდი ჩატარდა.**

**CHANNEL4.COM-ი ტრადიციულად მორიგ საინტერესო ჩანახატს გვთავაზობს. ტურის საუკეთესო კი პალერმოელი ჯოვანი ტედესკოა.**

### გამარჯვებულები

**ჯოვანი ტადესკო (პალერმო)** — სიცილიაზე ბრწყინვალე სამხრეთული დერბი ვიხილეთ, რომლის გმირიც, უდავოდ, ტედესკო გახლდათ. მისმა დუბლმა მატჩი შემოატრიალა და თვით „პალერმოს“ ექსცენტრიულმა პრეზიდენტმა ძამპარინიმაც კი აღიარა, რომ ცდებოდა, როცა ფიქრობდა — შეძლებს კი ვეტერანი ტედესკო ძველებურად მაღალ დონეზე თამაშსო.

**ანტონიო დი ნატალე (უდინეზე)** — „ფიორენტინა“ ლამაზი ფეხბურთის თამაშითაა ცნობილი, მაგრამ კვირას „უდინეზემ“ „არტემიო ფრანკიზე“ „იები“ გააქრო და ეს პირველ რიგში, დი ნატალეს დამსახურებაა, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია. ახლა „ტოტო“ იტალიის ნაკრების ლიდერიცაა და შოტლანდიასთან გადამწყვეტ მატჩში მისგან ყველაზე მეტს ელიან.

**რენცო ულივიერი (რეჯინა)** — 66 წლის სპეციალისტი სერია A-ს ყველაზე მხცოვანი მწვრთნელია. მას კიდევ აქვს შემონახული რამდენიმე ხრიკი, რომლითაც მეტოქეების გაკვირვება შეუძლია. ულივიერიმ „რეჯინა“ წინა ტურში ჩაიბარა და ბოლო წამამდე უგებდა „ნაპოლის“, მაგრამ ქულაზე მეტს ვერ გამორჩა. სამაგიეროდ, კვირას შინ დასცა „ჯენოა“ და რეჯოკალაბრიელებს მიმდინარე სეზონში პირველი მატჩი მოაგებინა.

### დამარცხებულები

**დომენიკო მორფეო (პარმა)** — ყველასთვის ცნობილია, რომ იგი ტემპერამენტიანია, მაგრამ მორფეოს ნაღდად არ შეჰფერის ის საქციელი, რომელიც „იუვენტუსთან“ მატჩში ჩაიდინა. წაქცეულ დომენიკოს როგორც უნდა ტკენოდა, არ ეკადრებოდა მასზე დაცემული ჯორჯო კიელინისთვის ვითომ უნებლიედ ყელში ხელის გამოდება. იუვენტუსელმაც თავში ჩარტყმით უპასუხა და მსაჯმა ორივე გააძევა. მორფეოს მოედნიდან გაყვანას თანაგუნდელები ნახევარი წუთი მოუნდნენ.

**ანდრეა მანდორლინი (სიენა)** — ექსპერტების აზრით, მომდევნო მწვრთნელი, რომელსაც სერია A-ს მიმდინარე სეზონში პოსტიდან დაითხოვენ, ის იქნება. მით უმეტეს, მას მერე, რაც მისმა გუნდმა ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ლივორნოსთან“ საშინაო ტოსკანური დერბი წააგო.

**„ატლანტას“ ფანები და იტალიის ფეხბურთის ფედერაცია** — 2 თებერვალს პოლიციელ ფილიპო რაჩიტის მოკვლის გამო სერია A და სერია B ორი კვირით გადაიდო. იტალიური ფეხბურთის მამებს გაბრიელე სანდრის დაღუპვის მერეც, ალბათ, იმავეს გაკეთებს მართებდათ, მაგრამ „ატალანტას“ ულტრასების მიერ „აზური დიტალიაზე“ მოწყობილი არეულობა მაინც გაუმართლებელი გახლდათ. თუ მათ ამ საქციელით ვითომ ერთი ნაბიჯი წინ გადადგეს, რვა ნაბიჯი უკან გადადგმული გამოუვიდათ.

### გოლები

**ანტონიო დი ნატალე** — მისი დაწყებული ბრწყინვალე კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობა სიმონე პეპემ და ფაბიო კვალიარელამაც მიიღეს, დი ნატალემვე ჩინებული დარტყმით დააგვირგვინა.

**ჯოვანი ტედესკო** — გამოცდილი ნახევარმცველი საჭირო დროს, საჭირო ადგილას გაჩნდა და შორეულ მაღალ კუთხეში მშვენიერი მოჭრილი დარტყმით გაიტანა.

**დომინიკ მალონგა (ტორინო)** — რეალურად ამ გოლში მთავარი დამსახურება ნიკოლა ვენტოლასია, ვინაც საოცარი „მაკრატელა“ დაარტყა, მალონგამ კი დამატებაზე ივარგა და სერია A-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

### რიცხვები

**„იების“ წაგება:** „ფიორენტინა“ „უდინეზემდე“ „არტემიო ფრანკიზე“ 2006 წლის 29 ოქტომბერს „პალერმოსთან“ მარცხის მერე ვერავის წაექცია — 15 მოგება და ხუთი ფრე. თან ფლორენციელებმა აქამდე სერია A-ს ბოლო 29 მატჩიდან მხოლოდ ერთი დათმეს. უდინელებთან წაგების მერე, ევროპაში მხოლოდ ერთი კლუბი, ლონდონის „არსენალი“ დარჩა, რომელიც მიმდინარე სეზონში ჯერ არც ერთ ტურნირში არ დამარცხებულა.

**რებას დაბრუნება:** „პალერმო“ და „ნაპოლი“ სიცილიაზე სერია A-ში ერთმანეთს 1972 წლის 26 ნოემბრის მერე არ შეხვედრიან. მაშინაც, მასპინძლებმა იმარჯვეს — 1:0. ბედის ირონიით, იმ შეხვედრაში „პალერმოს“ ერთ-ერთი ფეხბურთელი „ნაპოლის“ ამჟამინდელი მწვრთნელი ედი რება გახლდათ.

**ულივიერის ფაქტორი:** წინა სეზონის მიწურულს, კერძოდ, 27 მაისს „რეჯინამ“ მეორე შემადგენლობით მოთამაშე „მილანს“ 2:0 მოუგო. ამის მერე, რეჯოკალაბრიელებს სერია A-ში არ ემარჯვათ. ნავსი ულივიერის ხელში კვირას „ჯენოასთან“ გატყდა. „რეჯინამ“ ექვსი ფრისა და ხუთი წაგების შემდეგ, სეზონში პირველი მოგება იზეიმა.

## ლოკომოტივის მემანქანე წავიდა

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ მწვრთნელი [illegible] გაათავისუფლეს და მის მოვალეობას დროებით თანაშემწე რინატ ბილიალეტდინოვი შეასრულებს. ბიშოვეცს მიჰყვა მთელი სამწვრთნელო შტაბი და კლუბის პრეზიდენტი იური სიომინიც.

რუსული მედიის ცნობით, „ლოკომოტივთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა „ამკარის“ თავკაცმა რაშიდ რახიმოვმა და ბიშოვეცს შეცვლის, თუმც ამ ინფორმაციას არც „ამკარი“ და არც თვითონ რახიმოვი არ ადასტურებენ. იური სიომინის ადგილს კი რუსეთის რკინიგზის ერთ-ერთი მენეჯერი დაიკავებს.

## შენ თითი დაადე!

**რუსეთის** ჩემპიონ „ზენიტს“ დიკ ადვოკაატი გასაშვებად არ ემეტება. სანკტპეტერბურგულმა კლუბმა სსრკ-ის დაშლის შემდეგ პირველად მოიგო რუსული ოქრო და ამის შემოქმედია ჰოლანდიელი მწვრთნელი, რომელსაც ავსტრალიის ნაკრების თავკაცობას სთავაზობდნენ. ადვოკაატს უკვე ნახევარი წელია, ეპატიჟებიან, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, პეტერბურგში დარჩეს, თუ სანაკრებო საქმეს მოჰკიდოს ხელი. ჰოლანდიელს კარგი ურთიერთობა აქვს „ზენიტის“ პრეზიდენტ სერგეი ფურსენკოსთან, ქალაქიც მოსწონს, ქომაგებმაც შეიყვარეს და ჯამაგირზეც არ წუწუნებს.

ამიტომ „ზენიტმა“ დიკ ადვოკაატს შესთავაზა, კლუბსა და ნაკრებში მუშაობა შეათავსოს. ავსტრალიელებმაც შემოუთვალეს, ჩვენი ეროვნული გუნდის შეკრებები და ამხანაგური მატჩები უმეტესად ევროპაში გაიმართება და მწვანე კონტინენტზე დამღლელი მგზავრობა არ მოგიწევსო. მეტიც — ოზთა ფეხბურთის ფედერაციის შეფებმა მწვრთნელს ისიც კი შესთავაზეს, რომ თავად ამოირჩიოს, შეკრებებს სად გამართავს. მოკლედ, როგორც ზღაპარში — დიკ ადვოკაატმა რუკაზე ქვეყანას თითი უნდა დაადოს და...

## შავ-ლურჯი დაზვერვა

**მოსკოვის** ცსკა-ს სამი ფეხბურთელით „ინტერი“ დაინტერესდა — წერს GOAL.COM-ი. მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში მილანში „შავ-ლურჯებთან“ 2:4 წააგო, „ინტერის“ შეფებს ვაგნერ ლავის, დანიელ კარვალიუსა და განსაკუთრებით, ჟოს თამაში მოეწონათ. ზემოთ ხსენებული ვებგვერდის ცნობით, „შავ-ლურჯები“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ სერბ მცველ ბრანისლავ ივანოვიჩსაც აკვირდებიან. მის სანახავად სკაუტები ხუთშაბათს შოტლანდიაში ყოფილან, სადაც უეფას თასზე „აბერდინი“ „ლოკომოტივს“ შეხვდა.

ივანოვიჩის გადაბირება „ჩელსის“ და „იუვენტუსსაც“ სურთ. ამ უკანასკნელს, როგორც ამბობენ, ფეხბურთელთან წინასწარი კონტრაქტი უკვე გაუფორმებია, მაგრამ COAL.COM-ის ვარაუდით, ფავორიტი „ინტერია“, რადგან ამ გუნდის მეორე მწვრთნელი სინიშა მიხაილოვიჩიც სერბია და ივანოვიჩთან მეგობრობს.

## დემ რომანს დე ურჩია

**„სანის“** ცნობით, „ჩელსი“ „ფეიენოორდიდან“ ჯონათან დე გუზმანის შეძენას აპირებს. შესაძლოა, 20 წლის კანადელი ნახევარმცველი ლონდონური კლუბის პირველი ახალწვეულიც გახდეს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას. „ფეიენოორდის“ ფეხბურთელის სანაცვლოდ „ჩელსი“ 12 მილიონ ევროს არ დაიშურებს.

რომან აბრამოვიჩს მოთამაშის ყიდვა კლუბის სკაუტმა პიტ დე ფისერმა ურჩია, რომელიც ჰოლანდიურ ბაზარზე მუშაობს. დე გუზმანმა „ფეიენოორდთან“ კონტრაქტი ცოტა ხნის წინ გააახანგრძლივა 2012 წლამდე და ჯერ ვერ აურჩევია, კანადის ნაკრებში ითამაშებს თუ ჰოლანდიისა. მისი უფროსი ძმა ჯულიანი „დეპორტივოშია“ და კანადის დროშის ქვეშ თამაში არჩია.

## ანდერლეხტს არიელით გარეცხავენ

**ბელგიის** ჩემპიონი „ანდერლეხტის“ მწვრთნელი ფრენკი ვერკოტერენი მოხსნეს და მის ნაცვლად სეზონის ბოლომდე გუნდს არიელ იაკობსი უთავკაცებს. ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად გუშინ განაცხადა. „ანდერლეხტი“ 13 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „ბრიუგეს“ შვიდი ქულით ჩამორჩება.

ვერკოტერენის ხელქვეით გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში შესვლაც ვერ შეძლო და უეფას თასზე გადაბრძანდა.

## ზვეზდა მრკელას ჩააბარეს

**ბელგრადის** „ცრვენა ზვეზდას“ თავკაცი მილორად კოსანოვიჩი სამთვიანი მუშაობის შემდეგ გადადგა. უეფას თასზე „არისთან“ სტუმრად 0:3 წაგების გამო კორანოვიჩს სამწვრთნელო სკამზე აღარ დაეჯდომებოდა და ამიტომაც წავიდა თავისი ნებით.

სანამ ახალ თავკაცს დანიშნავენ, გუნდს დროებით „ცრვენა ზვეზდას“ მეორე მწვრთნელი მიტარ მრკელა ჩაიბარებს.

**ვაჟა ხუციშვილი**
















ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი ყველაზე...

„ინგლისელი ფანები წლობით განებივრებულები არიან — წერს გაზეთი „სანი" და დასძენს — მართალია, ნაკრები ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ როდესაც საქმე ჩემპიონატს ეხება, აქ ინგლისური კარტის გაჭრა უბრალოდ შეუძლებელია."

ერთი სიტყვით, გაზეთმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ათი ყველაზე სასეირო გოლის აღნიშვნის საკუთარი ვერსია მოგვაწოდა, ახლა ინგლისის ჩემპიონატში გამოვლილი ათი ყველაზე სახალისოდ მოთამაშე ვარსკვლავის ჩამონათვალს გვთავაზობს. ჩამონათვალი ტრადიციისამებრ მეათე ადგილიდან იწყება. გემოვნებაზე კამათი, რასაკვირველია, ნებადართულია.

10. მეტ ლე ტისიე

მას უწოდებენ საუკეთესოს იმ ვარსკვლავებს შორის, ვისაც დიდი ჯილდო არასდროს მოუგია. მან მთელი კარიერა „ტოტენჰემ ჰოთსპურს" შეალია.

9. პიტერ ბერდსლი

ვაგლახ, ლეგენდას ბევრ ფეხბურთელს ვერ უწოდებ, ბერდსლი კი ნამდვილი ლეგენდაა, წერს „სანი". მან ნაკრებში 59 მატჩი ითამაშა და გარი ლინეკერთან საუცხოო დუეტი შექმნა.

8. ტიერი ანრი

„არსენალის" ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი — ასე ახასიათებენ ფრანგს.

7. რაიან გიგზი

ფრთის ჯადოქარი მარად ჩვენთან დარჩება, წერს „სანი" და ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ინგლისელს უწოდებს, რომელმაც კარიერა სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში უელსის ნაკრებში გაატარა — მოგეხსენებათ, გიგზი ფეხბურთელის დედის გვარია.

6. გლენ ჰოდლი

ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი კლასის ნახევარმცველს გოლების გატანაც ეხერხებოდა.

5. კრიშტიანუ რონალდუ

გავა წლები და რონალდუ ამ ტიპის სიებში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს — ეს ნაღდია.

4. ერიკ კანტონა

ტრიბუნაზე ხალხს უვარდებოდა თუ სცემდა, მოედანზე ის ყოველწლიურად ჯილდოს იგებდა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის".

3. პოლ გესქოინი

ნახევარმცველი, რომელიც ბურთს ფეხში რომ მოიგდებდა, ყველაფერი შეეძლო.

2. ჯანფრანკო ძოლა

როგორც კი „ჩელსის" ფეხბურთელი გახდა და „სტემფორდ ბრიჯზე" ფეხი შედგა, ყველამ დაინახა, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც ფეხბურთის თამაში სიგიჟემდე უყვარს. მან ლონდონელთა სასიხარულოდ ბევრი ჯადოსნური გოლი გაიტანა.

1. ჯორჯ ბესტი

ბესტს ისე არაფერი უყვარდა, როგორც გოლის გატანა. თუ ბურთს მიიღებდა, ის მიუღწეველი იყო. ირლანდიელის ცხოვრების სტილს ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ ის რომ არა, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" გუნდი არ იქნებოდა.

**ბაპუნა ძიდია**
















# ვარსკვლავი ნეხვის სამშობლოდან



**სტივ მაკლარენის** გადაწყვეტილებამ, ნაკრებში „ჰოლივუდის ვარსკვლავი დევიდ ბექემი" გამოეძახებინა, ინგლისური პრესის ნაწილში აღშფოთება გამოიწვია — ლაპარაკია ევრო 2008-ის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩებზე ავსტრიისა და ხორვატიის წინააღმდეგ.

ჟურნალისტები, რომლებიც ბექემის გამოძახებამ გააბრაზა, ამბობენ, რომ ოდესღაც ბექემი მართლაც ფასდაუდებელი მოთამაშე გახლდათ, მაგრამ ის დრო ისტორიას ჩაბარდა. მეტიც, გაზეთი „დეილი სტარი" აზუსტებს, რომ ნახევარმცველი საუკეთესო ფორმაში „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის წლებში იყო, ხოლო „რეალში" გადასვლის შემდეგ დაღმასვლა დაეწყო. თუმც სტატიის ავტორი რეი ენსბრო აღიარებს, რომ „სამეფო კლუბისთვის" ჩემპიონობის მოპოვებაში ინგლისელმა ეფექტური როლი ითამაშა. ხოლო რაც შეეხება კალიფორნიაში გადაბარგების შემდგომ პერიოდს, აქ „დეილი სტარის" აზრით, სალაპარაკოც არაფერია. აი, ციტატა სტატიიდან:

„ახლა კი ბექემი თავის საქონელს — უნდა ვაღიაროთ, მართლაც სარფიანს — ბოტოქსის, კალათბურთის და ნეხვის სამშობლოში, კალიფორნიაში ყიდის."

ცნობისთვის: ბოტოქსი რელაქსანტია, ბუნებრივი პრეპარატი ანუ წამალი, რომელიც კუნთებს ადუნებს (საშინლად ტოქსიკურიც გახლავთ) დანარჩენი ორი კი „სარბიელის" მკითხველისთვის ცნობილია.

სტატიის ავტორი განურისხებია დევიდ ბექემის მონაწილეობას მატჩში „ჰოლივუდის ვარსკვლავები" „ლოს ანჯელეს გალაქსის" წინააღმდეგ. „ჰოლივუდის ვარსკვლავების" საუკეთესო ფეხბურთელი როკ ჯგუფ „დეფ ლეპარდის" მედოლე იყო, ცეცხლს აკვესებს ჟურნალისტი.

პრინციპში, ამ მიმომხილველის გაგება შეიძლება. ინგლისის ნაკრებს უმნიშვნელოვანესი პერიოდი უდგას, ევრო 2008-ზე ან მოხვდება ან ვერა, მისი ერთ-ერთი ვარსკვლავი კი საკუთარ ფორმას „ჰოლივუდის ვარსკვლავებთან" თამაშით ამოწმებს. არადა, ადამიანურად ბექჰისაც რომ გვესმის: სამი თამაშიც და ინგლისის ნაკრებში 100 კეპი ექნება მოხვეჭილი.

საბოლოოდ „დეილი სტარის" სტატია ამით მთავრდება: „შონ რაიტ-ფილიპსი და დევიდ ბენტლი მომავალია, ბექემი — წარსული."

**ბაპუნა ძიდია**


United Kingdom of Great Britain and Northern Ireland

Passport Passeport P GBR

BECKHAM

DAVID ROBERT JOSEPH

BRITISH CITIZEN

02 MAY /MAI 75 0

M LONDON

22 JAN /JAN 91 PASSPORT OFFICE LONDON

22 JAN /JAN 96

P<GBRBECKHAM<<DAVID<ROBERT<JOSEPH<<<<<<<<<<<<

როდესაც დევიდ ბექემმა ეს პასპორტი აიღო, ჰოლივუდის ვარსკვლავობამდე ბევრი უკლდა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# YES, კიდევ ორი თვე, იენს!



**არსენ ვენგერმა** თქვა, რომ იენს ლემანს ჯერ კიდევ საკმარისი დრო აქვს რათა „არსენალის“ ძირითადი მეკარის ადგილი დაიბრუნოს — მოგეხსენებათ, გერმანელ ვეტერანს „მეთოფეთა“ მთავარი გოლკიპერობა ესპანელმა მანუელ ალმუნიამ წაართვა და პრაღის „სლავიასთან“ ჩემპიონთა ლიგის იოლ მატჩშიც კი, რომელშიც მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის ბევრი მოთამაშე დაასვენა, მისთვის მოედანზე ადგილი არ მოიძებნა.

შეგახსენებთ, რომ ლემანმა 2007 წლის დასაწყისში „არსენალთან“ 12-თვიან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და შესაბამისად, იანვრიდან სადაც უნდა იქ შეუძლია გადავიდეს.

„თუ იანვრამდე არაფერი შეიცვალა, ვითარებას ავწონ-დავწონით და გადაწყვეტილებას ისე მივიღებთ — ბრძანა ვენგერმა — ჯერ კი მხოლოდ და მხოლოდ ნოემბერია. ნოემბერსა და დეკემბერში ლემანს კვლავაც შეუძლია ფორმის აღდგენა და ძირითადი მეკარის პოზიციის დაბრუნება. ყველაფერი პირადად მასზეა დამოკიდებული, რადგან ის 200-პროცენტიანი პროფესიონალია.“

იენს ლემანს „არსენალის“ ძირითადში 19 აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია. მისი ბოლო თამაში გახლდათ „ბლექბერნთან“, სადაც მან უხეში შეცდომა დაუშვა და დევიდ დანს გოლი გაატანინა. სწორედ ამ შეცდომის გამო დასრულდა ის თამაში 1:1.

აღსანიშნავია, რომ წინა შაბათს იენს ლემანი 38 წლისა მოიყარა, თუმცა ვენგერმა დაბადების დღის საჩუქარზე უარი განაცხადა:

„იენსს საჩუქარი არ სჭირდება. მას თამაში სურს, რადგან მიაჩნია, რომ საუკეთესო მეკარეა. მერწმუნეთ, ერთ მატჩში რომ ვათამაშო და მერე ისევ სათადარიგოთა სკამზე დავსვა, მისთვის გაცილებით უარესი იქნება. მას არაფერი დაუშავებია, ალმუნია კი თამაშობს და გუნდი მასთან ერთად წარმატებას აღწევს. აი, სულ ეს არის.“

**ბაბუნა ძედია**

# წლების მერე გასაცნობი ბიჭები

**„რეალი“** ახალ მესის ეძებს. დედაქალაქელებმა „ბარსელონას“ „პულგა“ ჯერ ვერ გამოსტყუეს და სავარაუდოდ, ამას ვერც უახლოეს მომავალში მოახერხებენ. ალბათ სასწაული უნდა მოხდეს, ბარსელონელებმა თავის არგენტინელზე უარს რომ თქვან.

ჰოდა, ამიტომაც, რამონ კალდერონის აგენტები ოკეანისგაღმა ნიჭიერ ახალგაზრდებს დაეძებენ. მათ, „სამეფო თეთრების“ პრეზიდენტის აზრით, რამდენიმე წელიწადში ლეო მესის კონკურენცია უნდა გაუწიონ.

ამჟამად ესპანელი სელექციონერები ბრაზილიის 15-წლამდელთა ნაკრების წევრებს, „ვასკუ და გამას“ მოიერიშე ნახევარმცველ ფილიპინიოს, „პორტუ ალეგრეს“ ფელიპეს და „ფლუმინენსეს“ ველინგტონს უთვალთვალებენ.

ბრაზილიელებთან ერთად „რეალის“ სატრანსფერო სამიზნეზე ურუგვაელებიც არიან — პოლენტა და ბარეტო (ორივე დანუბიო) და მესკიდა (პენიაროლი); არგენტინელები — ამელი (სპორტინგი), დიასი (არგენტინოს ხუნიორსი) და კინიულენი (სან ლორენსო). მადრიდელებს ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკას“ მატიას ხადუეც აინტერესებთ.

**ლადო ხომერიკი**

# რონია თუ ირონია?
## სული ან ფული

**როგორც** ამბობენ, „ჩელსის“ დირექტორატში აზრთა სხვადასხვაობაა და ამ სხვადასხვაობის მიზეზი რონალდინიო გახლავთ.

ლონდონური კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩი და მწვრთნელი ავრაამ გრანტი ამტკიცებენ, რომ 27 წლის ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ყიდვა მათ ძალიან სჭირდებათ, აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი და სპორტული დირექტორი ფრენკ არნესენი კი დარწმუნებულები არიან, რომ ბარსელონელის გადაბირება მათი აწყობილი კლუბისთვის ოდენ კატასტროფის მომტანი გახდება.

არნესენი და კინიონი შიშობენ, რომ რონალდინიო „ჩელსიში“ მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის გადავა, ხოლო ამ კლუბის სახელით გამარჯვება მისთვის სულერთი იქნება.




და რა უნდა რუს ოლიგარქს? აბრამოვიჩს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სურს და ფიქრობს, რომ ნანატრ ჯილდოს მას სწორედ რონალდინიო მოუტანს.

კი მაგრამ, „ბარსელონას“ აღარ ეკითხებიან?

წინა კვირაში კატალონიურმა კლუბმა მერამდენედ განაცხადა, რომ ბრაზილიელი არ იყიდება, მაგრამ ინგლისური პრესა იფიცება, რომ ეს ის ბოლია, რომლითაც, სანამ რონის გააპარებენ, ბარსელონელ ქომაგებს თვალები უნდა დაუბრმავონ.

„სანდერლენდი“ და „მიდლსბრო“ კი საიანვროდ პორტსმუთელი მეტ ტეილორის შესაძენად იბრძოლებენ. ამ გუნდების მწვრთნელები, როი კინი და გარეთ საუთგეიტი ფიქრობენ, რომ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი მარცხენა ფრთის პრობლემებს მოუგვარებთ, თუმცა ერთიცაა, მათ კიდევ ერთი კონკურენტი ეყოლებათ, „რიდინგის“ თავკაცი სტივ კოპელი. კოპელს გავარდნა ემუქრება და შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება.

საინტერესო ვაჭრობა გაჩაღდა „პორტ ვეილის“ მეკარის ჯო ენიონის გამო. ამ გოლკიპერის შეძენა მოუნდათ „ჩელსის“, „მანჩესტერ სიტის“ და „ევერტონს“, მაგრამ, ალბათ ხვდებით, რომ აქ ძირითად მეკარეობაზე ლაპარაკი არ არის.

რაკი „მანჩესტერ სიტი“ ვახსენეთ... ამ გუნდს 8,8 მილიონ გირვანქად ნაყიდი როლანდო ბიანკი არ გამოადგა და ახლა „ინტერთან“ მისი ადრიანოში გაცვლა სურს, ოღონდ აქ იჯარაზეა საუბარი და არა ყიდვაზე.

**ბაბუნა ძედია**




# გაუფრთხილდეთ ამ ჩვენს ფეხებს!

**ავსტრალიელმა** ტიმ კეჰილმა კვირას, „ევერტონისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში ანგარიში ბოლო წუთზე გაათანაბრა. ეს ულამაზესი მაკრატელა დარტყმა გახლდათ, თუმცა თამაშის შემდეგ ფორვარდმა ყურადღება სულ სხვა რამეზე გაამახვილა:

„მე ოსის უკან ვიდექი და საძაგელი შეტაკების ხმა გავიგე. მიკაელ ესიენს ცოტა მაღლა რომ მოსვლოდა, კარგად მიხვდებოდა რა საშინელებაც მოაწყო და მოგვიანებით ბოდიშის მოხდაც მოუწევდა. ყველამ ვიცით, ესიენი უხეშ და გამმეტებელ ფეხბურთელად არის ცნობილი, თუმცა ამჯერად მთავარი ის არის, რომ ოსი გადარჩა. რაღაც მომენტში ნებისმიერმა ფეხბურთელმა შეიძლება ვერ მოზომოს, მაგრამ აუცილებელია მერე გააცნობიეროს, რომ ბურთისთვის ბრძოლის გამო მოწინააღმდეგეს საშინელ დღეში აგდებდა.“

ვინ არის ოსი და რაზეა ლაპარაკი? ოსი, კეჰილის თანაგუნდელი ლიონ ოსმანი გახლავთ, რომელსაც ზემოხსენებული შეხვედრის ერთ ეპიზოდში „ჩელსის“ ფრანგმა „გლადიატორმა“ მიკაელ ესიენმა კინალამ ფეხი მოტეხა. მსაჯმა ამ შეჯახების გამო მას ყვითელი ბარათი უჩვენა.

მოგეხსენებათ, ამ შეხვედრაში „ჩელსიმ“ ქულები დაკარგა. ანგარიში დიდიე დროგბამ გახსნა, „ევერტონმა“ კი გაათანაბრა, თუმცა დანაკარგის მიუხედავად, ლონდონელთა მწვრთნელი ავრაამ გრანტი უკმაყოფილო არ დარჩენილა. მან თქვა: „ორიოდ კვირის წინ „მანჩესტერ სიტის“ 6:0 მოვუგეთ და ამ გამარჯვების შემდეგ გულშემატკივარი ჩვენგან ყოველ თამაშში მოგებას და თან განსაკუთრებული ანგარიშით მოგებას ითხოვს.

სამწუხაროდ, ამჯერად ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ, შედეგი შედეგად და, თამაშით კმაყოფილი დავრჩი. მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდა — ის, რომელიც გამოიყენა, ჩვენ კი ბევრი მომენტი შევქმენით. ცხადია, ფრის გამო გუნება მაქვს წამხდარი, ბოლო წამს გოლის გაშვება ყოველთვის საზიზღრობაა, მაგრამ ის, რომ ჩვენ კარგი ფეხბურთის თამაშს განვაგრძობთ, ფაქტია.

ჩვენ დღეს ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ სრულ უპირატესობას ვფლობდით და ეს ჩემმა მოთამაშეებმაც ძალიან კარგად იციან. ჩვენ კვლავ ვაჩვენეთ ყველას, რომ ძლიერი გუნდი გვყავს.“

**ბაბუნა ძედია**

### პორტუგალია

სუპერლიგა. X ტური

**ამადორა 2:2 პორტუ**

0:1 ლ. ლოპესი (25), 0:2 მეირელეში (50), 1:2 მაურისიუ (86), 2:2 მატეუში (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 8 | 2 | 0 | 18:4 | 26 |
| ბენფიკა | 10 | 6 | 4 | 0 | 19:5 | 22 |
| გიმარაეში | 10 | 5 | 4 | 1 | 12:8 | 19 |
| სეტუბალი | 10 | 4 | 6 | 0 | 18:10 | 18 |
| სპორტინგი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:8 | 18 |
| მარიტიმუ | 9 | 4 | 2 | 3 | 11:6 | 14 |
| ბრაგა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:11 | 14 |
| ბელენენსეში | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 |
| ლეირიეში | 10 | 1 | 7 | 2 | 10:11 | 10 |
| ნასიონალი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | 10 |
| ამადორა | 10 | 1 | 6 | 3 | 11:13 | 9 |
| ნავალი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:18 | 9 |
| აკადემიკა | 10 | 1 | 5 | 4 | 8:15 | 8 |
| ფერეირა | 10 | 1 | 3 | 6 | 7:15 | 6 |
| ბოავიშტა | 10 | 0 | 6 | 4 | 7:18 | 6 |
| ლეირია | 10 | 0 | 3 | 7 | 5:16 | 3 |

### მექსიკა

აპერტურა
XVII ტური

**ნეკაქსა 1:0 ტიგრესი**

**პაჩუკა 1:1 უნამი**

### არგენტინა

აპერტურა
XVI ტური

**ბოკა ხუნიორსი 4:0 ველესი**

**არგ. ხუნიორსი 4:0 არსენალი**

### ჩილე

კლაუსურა
XIX ტური

აუდაქს იტალიანო — პუერტო მონტი 1:1; ლოტა — კობრელოა 3:1; უნიონ ესპანიოლა — სანტიაგო 1:1; კოლო კოლო — უაჩიპატო 4:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 72 | უოლსოლი-ლუტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 73 | როვერსი-მილუოლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 74 | ქრიუ-ნორთჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 75 | დონკასტერი-ტრანმერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 77 | ლიდსი-სუინდონი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 16:30 | 78 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 79 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 80 | საუთენდი-ჩელტენემი | 1.45 | 3.70 | 6.30 | 1.04 | 1.17 | 2.33 |
| 23:45 | 81 | სუონსი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 83 | იოვილი-ჯილინგემი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 84 | შრიუსბერი-ბარნეტი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 86 | აკრინგტონი-როტერჰემი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 88 | ბრენტფორდი-დარლინგტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 89 | ბერი-პიტერბრო | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 90 | ჩესტერი-დონსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 92 | დაგ ენდ რედი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 93 | გრიმსბი-მორიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 95 | ნოტსი-მაკლსფილდი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 556 | კობლენცი-პადერბორნი | 1.70 | 3.40 | 4.25 | 1.13 | 1.21 | 1.88 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 557 | დორტმუნდი(მ)-ემდენი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 217 | პალმეირასი-ფლუმინენსე | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **17 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | სერბეთი-ყაზახეთი | 1.07 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |
| 18:00 | 3 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 23:30 | 7 | პოლონეთი-ბელგია | 1.47 | 3.60 | 6.50 | 1.04 | 1.19 | 2.31 |
| 23:30 | 8 | პოლონეთი-ბელგია 0:1 | 2.20 | 3.30 | 2.30 | | | |
| 22:00 | 9 | ლიტვა-უკრაინა | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 11 | შოტლანდია-იტალია | 3.70 | 3.10 | 1.95 | 1.68 | 1.27 | 1.19 |
| 21:00 | 12 | მოლდოვა-უნგრეთი | 2.70 | 3.10 | 2.40 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 22:00 | 13 | ნორვეგია-თურქეთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:30 | 14 | საბერძნეთი-მალტა | 1.05 | 8.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.34 |
| 23:30 | 16 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 23:30 | 17 | ჩეხეთი-სლოვაკეთი 0:1 | 2.10 | 3.40 | 2.50 | | | |
| 23:00 | 18 | გერმანია-კვიპროსი | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 19:00 | 20 | უელსი-ირლანდია | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 21 | მაკედონია-ხორვატია | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| 22:00 | 22 | ისრაელი-რუსეთი | 6.30 | 3.60 | 1.50 | 2.29 | 1.21 | 1.05 |
| 21:00 | 23 | ანდორა-ესტონეთი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:00 | 24 | ანდორა-ესტონეთი 1:0 | 2.40 | 3.50 | 2.15 | | | |
| 23:45 | 25 | ესპანეთი-შვედეთი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 23:45 | 26 | ჩრდ. ირლანდია-დანია | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 19:00 | 27 | ლატვია-ლიხტენშტეინი | 1.27 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.10 |
| 19:00 | 28 | ლატვია-ლიხტენშტეინი 0:1 | 1.70 | 3.80 | 3.00 | | | |
| 20:00 | 29 | ბულგარეთი-რუმინეთი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 30 | ალბანეთი-ბელარუსი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 23:30 | 31 | ჰოლანდია-ლუქსემბურგი | 1.01 | 11.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.04 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 558 | სუონსი-იოვილი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 23:00 | 559 | კარლაილი-სტოკპორტი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:00 | 560 | ჰარტლპული-მორეკომბი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:00 | 561 | გრიმსბი-დონკასტერი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 23:00 | 562 | ბორმუთი-დონსი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 23:00 | 563 | ჯილინგემი-დაგ ენდ რედი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 23:00 | 564 | ლიდსი-ბერი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 565 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 1.65 | 3.40 | 4.35 | 1.11 | 1.19 | 1.90 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 302 | ფრიოლუნდა-იურგორდენი | 1.65 | 4.10 | 2.80 | 1.17 | 1.03 | 1.66 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 303 | ტიმრე-ჰვ 71 | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 304 | ბრიუნესი-ფერიესტადი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 21:00 | 305 | ლულეო-მოდო | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |
| 21:00 | 306 | ლინჩიოპინგი-სიოდერტელიე | 1.40 | 4.20 | 3.80 | 1.04 | 1.02 | 1.99 |
| 21:00 | 307 | მორა-აიკ | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 319 | ესპოო-ლუკო | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 20:30 | 321 | იუვესკიულე-სეიპა | 1.60 | 4.30 | 3.00 | 1.16 | 1.04 | 1.76 |
| 20:30 | 322 | ესეტი-ტურკუ | 2.05 | 4.10 | 2.30 | 1.36 | 1.08 | 1.47 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 335 | პარდუბიცე-სლავია | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 336 | კარლოვი ვარი-ზლინი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 20:30 | 337 | ლიტვინოვი-პლზენი | 1.90 | 4.10 | 2.50 | 1.29 | 1.07 | 1.55 |
| 21:30 | 338 | ლიბერეცი-ტრჟინეცი | 1.55 | 4.20 | 3.30 | 1.13 | 1.05 | 1.84 |
| 20:30 | 339 | ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 1.50 | 4.30 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.92 |
| 20:30 | 340 | ზნოიმო-უსტი | 1.40 | 4.40 | 4.20 | 1.06 | 1.04 | 2.14 |
| 21:30 | 341 | სპარტა-კლადნო | 1.35 | 4.40 | 4.80 | 1.03 | 1.05 | 2.29 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 356 | მიკულაში-ჟილინა | 2.15 | 4.00 | 2.20 | 1.39 | 1.08 | 1.41 |
| 20:00 | 357 | პოპრადი-ნიტრა | 1.40 | 4.30 | 4.10 | 1.05 | 1.04 | 2.09 |
| 20:00 | 358 | ზვოლენი-სკალიცა | 1.50 | 4.40 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.94 |
| 20:00 | 359 | მარტინი-სლოვანი | 2.25 | 4.10 | 2.10 | 1.45 | 1.08 | 1.38 |
| 20:30 | 360 | ტრენჩინი-კეჟმაროკი | 1.25 | 4.60 | 5.30 | 1.00 | 1.01 | 2.46 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 371 | მანჰაიმი-კიოლნი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 20:30 | 372 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 375 | აისბარენი-ინგოლშტადი | 1.70 | 4.20 | 2.80 | 1.21 | 1.05 | 1.67 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 373 | აუგსბურგი-იზერლონი | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:30 | 374 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 22:30 | 377 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1.30 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.05 | 2.47 |
| 22:30 | 378 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |
| 22:30 | 379 | ნიურნბერგი-დუისბურგი | 1.15 | 4.80 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.56 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 387 | ციურიხი-კლოტენი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 400 | ვიტიაზი-მაგნიტოგორსკი | 3.20 | 4.30 | 1.50 | 1.83 | 1.02 | 1.11 |
| 13:00 | 401 | ამური-ტრაქტორი | 1.60 | 4.30 | 2.55 | 1.16 | 1.00 | 1.60 |
| 17:00 | 402 | სიბირი-ს.იულაევი | 3.50 | 4.30 | 1.40 | 1.92 | 1.00 | 1.05 |
| 15:30 | 403 | ნოვოკუზნეცკი-ლადა | 1.90 | 4.20 | 2.20 | 1.30 | 1.01 | 1.44 |
| 17:00 | 404 | ავანგარდი-ხიმიკი | 1.40 | 4.50 | 3.30 | 1.06 | 1.00 | 1.90 |
| 20:00 | 405 | სპარტაკი მ-ასკ | 3.50 | 4.30 | 1.40 | 1.92 | 1.00 | 1.05 |
| 20:00 | 406 | დინამო მ-აკ ბარსი | 1.70 | 4.30 | 2.50 | 1.21 | 1.01 | 1.58 |
| 20:00 | 407 | მვდ-ნეფტეხიმიკი | 1.55 | 4.40 | 2.90 | 1.14 | 1.01 | 1.74 |
| 20:00 | 408 | ლოკომოტივი-ტორპედო | 1.15 | 4.70 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 2.53 |
| 19:30 | 409 | სევერსტალი-ცსკა მ | 2.05 | 4.20 | 2.10 | 1.37 | 1.03 | 1.39 |
| | | **ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო თასი.იაპონია** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 582 | ბრაზილია-იტალია | 1.50 | 2.10 | | | | |
| 23:45 | 583 | პოლონეთი-დომინიკის რესპ | 1.03 | 5.50 | | | | |
| 23:45 | 584 | აშშ-სერბეთი | 1.20 | 3.30 | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 12:00 | 585 | სამ კორეა-პერუ | 1.15 | 3.50 | | | | |
| 13:00 | 586 | იაპონია-კუბა | 2.10 | 1.45 | | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# საქართველოს ჩემპიონატი

ნახევარფინალი. 12 ნოემბერი. „შევარდენი"

**ლელო 18:14 ლიგამუსი**

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ფირფილაშვილი, ცერცვაძე; ხმალაძე, ქინქარაული; კოლელიშვილი, სარდანაშვილი, მძინარიშვილი, ჯალალონია, იორდანაშვილი, ცხოვრებაშვილი, მჭედლიშვილი, სანიკიძე
შეცვლაზე შევიდნენ: დაუშვილი, ახალაია
2ლ: ზაალიშვილი, სარდანაშვილი; 1გ: ყიასაშვილი; 2ს: ყიასაშვილი

**ლიგამუსი:** ასათიანი, მარსაგიშვილი, ნადირაძე, ბერძენიშვილი, ჩიხლაძე, კვინიხიძე, ლვინჯილია; მაისურაძე, ყურაშვილი, ბერიშვილი, ნიშნიანიძე, გუჯარაიძე, ხეჩიკოვი, ტურაშვილი, პეტრიაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: გუგავა, ქავთარაძე, კახიანი, მაღალაძე
1ლ: ლვინჯილია; 3ს: კვინიხიძე

# ლელო ლელოსია


„ლიგამუსის" შეტევები ლელოელებმა იოლად შეაჩერეს

ბაჩო ძაძამიძის ფოტო

**გუშინ** „შევარდენის" სტადიონზე პლეი ოფის პირველი მატჩი გაიმართა „ლელოსა" და ლიგამუსს" შორის. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფი ავსტრალიური წესით ტარდება და ამ შეხვედრას პირობითად ერქვა ნახევარფინალი, თორემ დამარცხებულ გუნდს კიდევ აქვს ფინალში თამაშის შანსი. ამ შემთხვევაში „ლიგამუსი" „ყოჩები" — თსუ"-ს შორის უძლიერესს შეერკინება. რაც შეეხება გუშინდელ ჯახს, გეტყვით, რომ „ლელომ" ამ სეზონში უკვე მესამედ დასცა ყოფილი „ლოკომოტივი" და საფინალო საგზურიც მოიპოვა.

მატჩი დაძაბულად, მაგრამ მდორედ მიმდინარეობდა, რაც მოთამაშეთა ნერვიულობის და შეხვედრის მნიშვნელობის ბრალი უფრო იყო.

პირველივე შეტევა „ლელომ" ლელოთი დაასრულა. ჩემპიონატის ლიდერის ინტენსიურ მიძალებას ფლანგიდან ფლანგზე ბურთის ჩაკიდება მოჰყვა, ბურთს ზაალიშვილი დაეუფლა და მოწინააღმდეგე დაალელოვა. ყიასაშვილმა ზუსტად ვერ გარდასახა, მაგრამ სწრაფმა ხუთმა ქულამ უფრო დაქოქა ლელოელები.

„ლიგამუსმა" ტაიმის შუაგულისკენ ორი ჯარიმა გაიტანა და დაწინაურდა — 6:5, მაგრამ „ლელო" ყიასაშვილის ჯარიმით პირველი ნახევრის 30-ე წუთზე ისევ წინ გავიდა და შესვენებამდე არაფერი შეცვლილა. ერთი კი იყო, რომ ბობა კვინიხიძემ ორი გასატანი ჯარიმა ვერ გამოიყენა და ამით საქართველოს ყველაზე ძლევამოსილმა გუნდმა წინ გასვლის შანსი გაუშვა ხელიდან.

ვითარება არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ნერვული ფონი ოთხმოცი წუთის განმავლობაში გაჰყვა შეხვედრას, რითაც სანახაობრივმა მხარემ ნამდვილად იზარალა.

მეორე ნახევრის მე-10 წუთზე კვინიხიძემ ჯარიმა გაიტანა, მაგრამ „ლელო" გოროზ მეტოქეს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდა.

ყიასაშვილმა ისევ ზუსტად დაარტყა და ორი ქულით დააწინაურა თავისი გუნდი.

მეორე ნახევრის მე-20 წუთზე შედგა მატჩში გადამწყვეტი და „ლიგამუსის" გამტეხი მომენტი, როცა სარდანაშვილმა საკუთარი ოცდაორის მისადგომებთან გაჭრა მოწინააღმდეგის დაცვა და ლელომდეც დაუბრკოლებლად ირბინა. ამას მოჰყვა ზუსტი გარდასახვა და „ლელომ" ანგარიში უფრო გაზარდა — 18:9.

საპასუხოდ „ლიგამუსი" გავეშებული ებდღვნა მეტოქეს. მრავალფაზიან შეტევას „ლელოს" ხუთმეტრიანთან რაქი მოჰყვა. გამოტანილ ბურთს ლვინჯილია დაეუფლა და მოკლე ფრთაზე შეიჭრა სალელოვედ. ყოფილი რკინიგზელების 10 ნომერს გარდასახვის დროს მიზანმა ისევ უმტყუნა - 18:14. შეხვედრის დასრულებამდე შვიდიოდე წუთი რჩებოდა. „ლიგამუსი" ბოლო ძალებით ექვეთა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ახლა მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულთა შორის გამარჯვებულს ელოდება, რათა ფინალის მეორე საგზურის მფლობელი გაარკვიოს. დაბადების დღე ჩაუმწარეს „ლიგამუსის" ლვაწლმოსილ მობურთალ გიორგი (მეხანიკა) ასათიანს, რომელიც გუშინ 33 წლის გახდა.

დღეს იგივე სტადიონზე „ყოჩები" და თსუ-ს შორის ჯახიც გაიმართება. „ყოჩებმა" საქართველოს თასი უკვე მოიპოვეს და დუბლის გაკეთებასაც გეგმავენ. მათ სტუდენტების დამარცხება ალბათ არ გაუჭირდებათ, მაგრამ შემდეგ ისევ „ლიგამუსის" ბარიერი უნდა გადალახონ, რაც თასის ფინალში წარმატებით მოახერხეს.

**ზურაბ მიგრიაული**

# ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი
## პირველი ტური. 9-11 ნოემბერი

**9 ნოემბერი**

**ალსტერი 14:32 გლოსტერი**
ალსტერი 2ლ: მაკკალუხი, უოლესი; 2გ: უოლესი
გლოსტერი 5ლ: ვაინიკოლი, ტინდალი, სიმფსონ-დანიელი, ლამბი, ბელშევი; 2გ: ლამბი; 1ს: ლამბი

**პერპინიანი 23:19 ნიუპორტი**
პერპინიანი 2ლ: გუარადო, ტუილაგი; 2გ: როსალენი; 3ს: როსანელი
ნიუპორტი 3ლ: ვაიტი, ბერმანი, სვენი; 2გ: სვენი

**10 ნოემბერი**

**ლენსტერი 22:9 ლესტერი**
ლენსტერი 1ლ: ხორგანი; 1გ: კონტეპომი; 5ს: კონტეპომი
ლესტერი 3ს: გუდი

**ვიადანა 11:19 ბიარიცი**
ვიადანა 1ლ: ბორტოლუჩი; 2ს: პილატი
ბიარიცი 1ლ: ვილემსი; 1გ: იაშვილი; 4ს: იაშვილი

**სტად ფრანსე 37:17 ჰარლიქვინსი**
სტად ფრანსე 4ლ: ლაიბენბერგი, დომინისი, საუბადი, ბერგამასკო; 4გ: სკრელა (2), ლაიბენბერგი (2); 3ს: სკრელა
ჰარლიქვინსი 2ლ: მონეი, ბერი; 2გ: მალონე, ჯერვიზი; 1ს: მალონე

**ლონდ აირიში 42:9 ტრევიზო**
ლონდონ აირიში 7ლ: ლეგუიზამონი, მერფი, ჰოჯტი, დ. ერმიტაჟი, დე ვიდია, ს. ერმიტაჟი, რიჩარდზი; 2გ: ჰოჯტი; 1ს: ჰოჯტი
ტრევიზო 3ს გურენი

**ედინბურგი 15:19 ტულუზი**
ედინბურგი 2ლ: დე ლუკა, ჰიუსტონი; 1გ: გუდმანი; 1ს: ბლეირი
ტულუზი 1ლ: მედარდი; 1გ: ელისალდე; 4ს: ელისალდე

**ვოფსი 24:23 მუნსტერი**
ვოფსი 2ლ: ფლატი, სკივინგტონი; 1გ: ჩიპრიანი; 4ს: ჩიპრიანი
მუნსტერი 2ლ: ტიპოკი, პეინე; 2გ: ოპარა; 3ს: ოპარა

**ოსფრისი 22:15 ბურგუენი**
ოსფრისი 1ლ: ჰენსონი; 1გ: ჰუკი; 5ს: ჰუკი
ბურგუენი 5ს: ლალუ (2), ბოიეტი (3)

**11 ნოემბერი**

**კარდიფი 34:18 ბრისტოლი**
კარდიფი 4ლ: რობინსონი, მოლიტიკა, უილიამსი (2); 4გ: ბლეირი; 2ს: ბლეირი
ბრისტოლი 2ლ: ჰილი, ერსკოტი; 1გ: სტრენჯი; 2ს: სტრენჯი

**სარასენზი 33:31 გლაზგო**
სარასენზი 4ლ: ვაივაიანი, პინეი, სკირვინგი, რატუვოუ; 2გ: ჯეკსონი; 3ს: ჯეკსონი
გლაზგო 3ლ: ლოუ, ოპარი, ქილოქი; 2გ: პარკსი; 4ს: პარკსი

**კლერმონი 48:21 სკარლეტზი**
კლერმონი 7ლ: რუჯერი (3); მალზიუ, ბონარი, ჯეიმსი, დომინგო; 5გ: ჯეიმსი (4), კინგი; 1ს: ჯეიმსი
სკარლეტზი: 3ლ: დ. ჯეიმსი, პელი, კინგი; 3გ: ს. ჯონსი


დიმიტრი იაშვილმა „ბიარიცს" „ვიადანასთან" მოაგებინა

# პირველი ჰაინეკენი ფრანგმა ქართველმა დალია

**ჰაინეკენის** თასზე ჯგუფური ეტაპის პირველი ჯახები გაიმართა. იმარჯვა თითქმის ყველა ფავორიტმა. თავისი შეხვედრა მოიგო გოდერძი შველიძის და დავით ზირაქაშვილის „კლერმონმაც".

რაგბის „ჩემპიონთა ლიგის" ორი მატჩი პარასკევს ჩატარდა. ინგლისური „გლოსტერი" ირლანდიაში ჩავიდა და იქაური „ოლსტერი" დამაჯერებლად დაამარცხა. ინგლისელები 23 წუთისთვის უკვე 22:0-ს იგებდნენ და მთელი 80 წუთის განმავლობაში სანერვიულოდ არც გახდომიათ საქმე. ფრანგულმა „პერპინიანმა" სახლში ნიუპორტელი „დრაკონები" მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში აიღო 4 ქულა. „დრაკონებს" ახალი სამწვრთნელო შტაბი ჰყავთ და ბევრი გაცდენილი საჯარიმო რომ არა, შეხვედრასაც მოიგებდნენ.

შაბათის მატჩებში გათამაშების ფავორიტები რაგბობდნენ. ვარსკვლავებით დახუნძლულმა „ლონდონ აირიშმა" იტალიურ ბენეტონი გაანადგურა. ლონდონელები თავის ვეტერან ნახევარმცველ მაიკლ ქეთთან ერთად თამაშობდნენ. ეს ქეთის პირველი შეხვედრა იყო ბრაიან ეშტონთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ. ფრანგული „ბიარიცი" იტალიურ „ვიადანას" ერკინა. სტუმრებმა კლასის ხარჯზე და დიმიტრი იაშვილის წყალობით, რომელიც გარდასახვა-საჯარიმოების შესრულების დროს თითქმის შეუცდომელი იყო, პირველი ქულები მიითვალეს.

ასევე ვარსკვლავთკრებულმა „სტად ფრანსემ" „ჰარლიქვინსი" ამოიღო ოთხში და ლელოების წვიმა მოიყვანა ინგლისელების ლელოში.

ტურის უდაძაბულესი შეხვედრა მოქმედი თასის მფლობელ „ვოფსს" და ირლანდიულ „მუნსტერს" შორის გაიმართა. ლოურენს დალალიოს კაპიტნობით ინგლისელებმა მთელი შეხვედრის განმავლობაში ბეწვის ხიდზე იარეს, მაგრამ თამაშის მოგება მაინც მოახერხეს.

„ზირაქა" და შველიძე „კლერმენის" რიგებში არ გამოჩენილან, მაგრამ ფრანგებმა უქართველებოდაც დასცეს უელსური „სკარლეტზი" და ამით ევროპული სარაგბო უიქენდიც დასრულდა.

**ზურაბ მიგრიაული**

ასეთი ფერიცვალება, ქართულმა ლეგიონმა ბოლო კვირაში რომ განიცადა, საკმაოდ მოულოდნელი, თუმცა გვარიანად სასიამოვნოა. წინა სამშაბათს რომ ლეგიონერთა მონაგარი შევაჯამეთ, იქ გასახარს ვერაფერს წაიკითხავდით. ერთი მოთამაშეც ვერ ასცდა 10-ქულიან თამასას და თითქმის ყველას გუნდმა წააგო. გასულ კვირა კი ძალიან ბარაქიანი გამოდგა უცხოეთში მოთამაშე ჩვენი თანამემამულეებისთვის. თითქმის ყველამ ისახელა თავი და არც ვიცით, რომელი ერთით დავიწყოთ

# ბომბარდირული

## ქართველებმა ევროპაში გაილაღეს




### რუსეთი

ვლადიმერ ბოისას ამის წინა ტურში ყველაზე მეტად გაუჭირდა. მან ქულა რომ ქულაა, ის ვერ მოიხვეჭა და არც ხუთეულში უთამაშია. გუშინწინ კი ვოვამ ძალიან მოიწადინა და თავის „სპარტაკ-პრიმორიეს“ მიმდინარე სეზონში პირველი გასვლითი თამაში მოაგებინა.

ვლადივასტოკელები მოსკოვის რეგიონის „ტრიუმფს“ ხვდებოდნენ და დაძაბულ ბრძოლაში 83:80 იმარჯვეს. ბოისამ ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 30 წუთი გაატარა. მან 3-3 ორ-სამქულიანი ჩააგდო და 15 ქულას მოუყარა თავი. ცოტა დაკვირვებით რომ შეესრულებინა საჯარიმო სროლებიც, ბოისას სტატისტიკა გაცილებით უკეთესი იქნებოდა — ოთხივე სროლა გააცუდა. მის ანგარიშზე იყო ასევე 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა.

### იტალია

ნიკოლოზ ცქიტიშვილმა მცირე ჩავარდნის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გამოაცხო სერია A-ში. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მისმა „ტერამომ“ „დორლანდოსთან“ წააგო, თორემ ქართველი ფორვარდ-ცენტრის თამაშს წუნს ვერავინ დასდებს.

ნიკამ 27 წუთში 20 ქულის მოხვეჭა მოახერხა, რასაც 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაც მოიყოლა და თავისიანთა ბომბარდირი გახდა. „ცქიტოს“ არ აუცილებია საჯარიმოები და სამქულიანი, ხოლო საშუალო მანძილიდან სროლების ნახევარი ჩააგდო — 12-დან 6.

„ტერამომ“ ამ წაგებით სერია A-ს ლიდერთა შორის ადგილი დაკარგა და ახლა მე-9 ადგილზეა.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილისთვის გასული კვირეული გამორჩეული იყო. ოთხშაბათს „მანუს“ „ბკ კიევმა“ ულებ-ის თასზე მისი ძველი და ძლევამოსილი გუნდი დაამარცხა. მარკოიშვილმა ევროპული კარიერა ტრევიზოს „ბენეტონში“ დაიწყო 2002 წელს და ახლა ის კიევური გუნდის მაისურით დაუპირისპირდა იტალიურ გრანდს. მანუჩარს „ბენეტონთან“ თავი დიდად არ გამოუჩენია, 6 ქულა და 2 პასი იკმარა, თუმცა მოედანი თავაწეულმა დატოვა — კიეველებმა ტრევიზოში საამაყო გამარჯვება (77:73) მოიპოვეს.

აი, უკრაინის ჩემპიონატში კი მარკოიშვილმა თავი ისახელა. პირველად მოხდა, რომ ქართველი უკანახაზელი „ბკ კიევის“ ბომბარდირი გახდა. „ბკ პულსართან“ „მანუმ“ 4 სამქულიანი ჩააგდო, 4 მოხსნა, 4 პასი მოიხვეჭა და საბოლოოდ 18 ქულით მატჩის მთავარმექულე გახდა. „ბკ კიევმა“ იოლად, 95:80 მოუგო „პულსარს“ და უკრაინულ სუპერლიგას წაუგებლად ლიდერობს.

### ესპანეთი

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა უკანახაზელმა ტაირონ ელისმაც იბომბარდირა თავის კლუბში. პრიმერადივიზიონის ფსკერზე დალექილმა „კახასოლმა“ ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა. ტაირონ ელისმა 5 სამქულიანი დაატეხა „ესტუდიანტესს“ და თავისიანებს იოლად გაამარჯვებინა — 99:65.

ელისის ანგარიშზე საბოლოოდ 19 ქულა და 4 პასი დაგროვდა და ეს მატჩის საუკეთესო შედეგი იყო.

### ესტონეთი

გიორგი ცინცაძეს ერთი ქულით გადაუსწრო თანაგუნდელმა, თორემ ბალტიის ლიგის მატჩში თავისიანთაგან ისიც იბომბარდირებდა. თუმცა მარტო ქულები ხომ არაა — საერთო მაჩვენებლებით ის ყველაზე სასარგებლო იყო „როკის“ შემადგენლობაში. სამწუხაროა, რომ მისი გუნდი შინ ლატვიურ „ბაროსთან“ დამარცხდა და ბალტიურ ლიგაში აუტსაიდერებში დამკვიდრდა.

„როკმა“ გასულ კვირაში შიდა ჩემპიონატშიც მოასწრო თამაში და თანაქალაქელი „ფაუსტო“ დაჩაგრა — 108:78. ცინცაძეს სუსტ მეტოქესთან ბევრი არ უთამაშია, 17 წუთი დაჰყო მოედანზე და 8 ქულას დასჯერდა.

### ნბა

როგორც იქნა, ფეხზე დადგა ზაზა ფაჩულია, რომელმაც ზედ რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე მუხლის ტრავმა მიიღო და მას მერე მკურნალობდა. გუშინ ფაჩულიამ პირველი საამსეზონო მატჩი გამართა და როგორც ჩანს, ფორმაში ვერაა. ზაზა „ვაშინგტონთან“ 7 წუთით გამოჩნდა მოედანზე და 2 ქულას, 3 მოხსნას და 1 პასს მოუყარა თავი. „ატლანტამ“ კი დასანანი საშინაო მატჩი წააგო.

**ირაკლი პერტაია**

---

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ზაზა ჯერ ვერ აზანზარებს

11 ნოემბერი

**ატლანტა 90:101 ვაშინგტონი**

ატლანტა: ლოუ ჯ. ჯონსონი (22), მ. უილიამსი (20 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), სმიტი (23), ჰორფორდი (9 ქულა, 10 მოხსნა); ჩილდრესი (10), ფაჩულია (7 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), სტუდემაიერი (2), ლუ (2), შ. უილიამსი

ვაშინგტონი: არენასი (18), სტივენსონი (11), ბატლერი (24), ჯემისონი (23 ქულა, 15 მოხსნა), ჰეივუდი (13 ქულა, 12 მოხსნა); სონგაილა 8), ბლეტჩი (2), დანიელსი (2)

**ფილადელფია 72:93 ნიუ ორლეანი**

ფილადელფია: იგუდალა (17), დალემბერი (15 ქულა, 10 მოხსნა), კორვერი (13)

ნიუ ორლეანი: პოლი (16 ქულა, 9 პასი), ვესტი (16), ჯექსონი (12)

**შარლოტი 82:85 ჰიუსტონი**

შარლოტი: კეროლი (17), ფელტონი (16), რიჩარდსონი (16)

ჰიუსტონი: მინი (34), მაკგრეიდი (26)

**ნიუ იორკი 72:75 მაიამი**

ნიუ იორკი: კარი (19), ლი (14 ქულა, 14 მოხსნა), მარბერი (14)

მაიამი: უილიამსი (17), ჰასლემი (16 ქულა, 16 მოხსნა), ონილი (14 ქულა, 9 მოხსნა), დევისი (14)

**სან ანტონიო 113:88 მილუოკი**

სან ანტონიო: ჯინობილი (21), ფინლი (17), დანკანი (16 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება)

მილუოკი: უილიამსი (17), რედი (14), ძიანლიანი (13)

**სიეტლი 103:107 დეტროიტი**

სიეტლი: დურანტი (19), გრინი (17), უილკოქსი (15)

დეტროიტი: ჰამილტონი (32), მაკდაისი (15 ქულა, 15 მოხსნა), ვოლესი (15)

**კლიპერსი 95:103 კლივლენდი**

კლიპერსი: კასელი (28), მაგეტი (25 ქულა, 11 მოხსნა), კამანი (21)

კლივლენდი: ილგაუსკასი (25), ჯეიმსი (22 ქულა, 8 პასი, 6 ჩაჭრა, 5 მოხსნა), გუდენი (18 ქულა, 17 მოხსნა)




**ამ კვირადლეს** „ატლანტას“ რიგებში საამსეზონო დებიუტი ჰქონდა ზაზა ფაჩულიას, რომელსაც ფეხის ტრავმამ თავისი გუნდის საწყისი ხუთი მატჩი გამოატოვებინა. მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ქართველი ცენტრი სათადარიგოებში გაამწესა და მხოლოდ 7 წუთით დატვირთა. ზაზა პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ჩაერთო თამაშში და მაშინვე საკუთარ ფარზე მოხსნა გააკეთა, მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეცდომა დაუშვა — ჯერ ბლეტჩმა დაუფარა, შემდეგ კი შეტევაში დაჯარიმდა და ბურთი დაკარგა. ფაჩულიას პოზიციაზე კი თამაში ძირითადში დაიწყო ალ ჰორფორდმა. ეს 208-სანტიმეტრიანი ფორვარდ-ცენტრი „ატლანტამ“ ამ ზაფხულს დრაფტზე მესამე ნომრად აიყვანა და ვუდსონი მას მომავალ ვარსკვლავად ზრდის. ამის დასტურია ის, რომ ახალბედა მეფარემ „ჰოქსის“ უკლებლივ ყველა მატჩი ხუთეულში დაიწყო და მწვრთნელი მას დაუნანებლად აძლევს სათამაშო დროს. ამ შეხვედრის მერეც ვუდსონმა თქვა — შემდეგშიც ჰორფორდს დავაყენებ ძირითადშიო. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ორი სეზონის განმავლობაში „ატლანტას“ მთავარმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ ძირითადში ადგილი დაკარგა? დიდი შანსია, რომ ასეც იყოს, ყოველ შემთხვევაში ზაზას დიდი ჯაფა მოუწევს ადგილის დასაბრუნებლად. რაც მთავარია, მან უნდა მოუმატოს. სეზონის პირველ თამაშში მან 2 ქულით და 3 მოხსნით დაასრულა. ისე კი გავიხსენოთ, რომ 2005-06 წლების სეზონში ის „ატლანტას“ საშუალოდ 11,7 ქულასა და 7,9 მოხსნას უხვეჭდა, 2006-07 სეზონში კი 12,2 ქულასა და 6,9 მოხსნას.

რაც შეეხება ამ მატჩს, „ატლანტამ“ შინ 11 ქულით დათმო „ვაშინგტონთან“, რომელსაც აქამდე სულ წაგებები ჰქონდა და ჯორჯიის მთავარქალაქში 0-6 შედეგით ჩავიდა. ატლანტელებს ტრადიციულად უჭირთ „ვაშინგტონთან“, წინა სეზონში ოთხიდან სამ შემთხვევაში დაუთმეს, ბოლო 12 მატჩიდან კი 10 ჰქონდათ წაგებული. ვაშინგტონელთაგან კვლავ ჩაფლავდა მათი მთავარმექულე ჯილბერტ არენასი, ვინაც თამაშიდან 15-ჯერ ისროლა და მხოლოდ 5 ჩააგდო. სამაგიეროდ, გაილაღეს სტუმართა ფორვარდებმა ბატლერმა და ჯემისონმა. მათ ჯამში 47 ქულა 21 მოხსნა და 10 პასი გაახერხეს და პირველი ტაიმი 11 ქულით მოაგებინეს თავისიანებს. საზოგადოდ, „ვაშინგტონმა“ შესამჩნევად აჯობა „ატლანტას“, რაკილა მასზე მეტად სჭირდებოდა გამარჯვება და ამდენი მარცხის შემდეგ რეაბილიტირება. ამ კლუბს 46-წლიან ისტორიაში ერთადერთხელ დაუწყია სეზონი ასე უხეიროდ ანუ ექვსიდან ექვსი მარცხით. ეს შორეულ 1966 წელს მოხდა, როდესაც კლუბი ქალაქ ბალტიმორის სახელით გამოდიოდა და „ვიზარდსის“ ნაცვლად „ბულიტსი“ ერქვა.

კვირას „ვაშინგტონმაც“ მოიგო და „მაიამიმაც“, ასე რომ, აღმოსავლეთ კონფერენციას აღარ ჰყავს გაუხარელი გუნდი. 15-ვე აღმოსავლელს უჩხრიალებს ჯულაბაში თუნდ ერთი მოგება. „ვაშინგტონის“ დარად „მაიამისაც“ მეშვიდე მატჩში გაუღიმა ბედმა. 2006 წლის ჩემპიონები „ნიუ იორკს“ სტუმრობდნენ და „მედისონ სკვერ გარდენში“ საზიზღარ, მწირქულიან და უგემურ თამაშში გატეხეს ნავსიანი სერია. დუეინ ვეიდის არყოფნაში მაიამელებს ულიდერა ცანცარა თეთრმა გამთამაშებელმა ჯეისონ უილიამსმა, ვინაც 17 ქულა გააკეთა და მატჩის დამთავრებამდე 20-ოდ წამით ადრე გადამწყვეტი ორქულიანი ჩააგდო. ბოლოს და ბოლოს შეჭმუხნული შუბლი გაეხსნა შაკილ ონილს. „მაიამის“ ბებერი სიმბოლო ნამატჩევს აღიარებდა, ვერც კი წარმოიდგენთ, ზურგიდან რამხელა ტვირთი ჩამოგვეხსნა, ამ მოგებამ ამოგვასუნთქა და შემდეგ მატჩებში გაცილებით თავისუფლები და შეუბორკავები გავალთ მოედანზეო.

დასავლეთში კი ჯერაც შემორჩნენ გაუხარელი გუნდები. მოუგებელი სერია 7 მატჩამდე გაეწელა „სიეტლს“, რომელიც შინ ბოლომდე კი ებრძოლა „დეტროიტს“, მაგრამ ამაოდ. მასპინძლები მწარედ დააქულავა სტუმართა მსროლელმა რიპ ჰამილტონმა, ვის ანგარიშზეც 32 ქულა მოვიდა.

გამარჯვებით კიდევ ერთმა ბობოლა აღმოსავლელმა მოისტუმრიანა დასავლური მატჩი. ვიცე-ჩემპიონმა „კლივლენდმა“ ლოს ანჯელესში „კლიპერსი“ დაამარცხა და შეურყია სეზონის დასაწყისში შექმნილი მძლავრი გუნდის რეპუტაცია. მთელმა ამერიკამ იცის, რომ „კლივლენდი“ ლებრონ ჯეიმსის გუნდია და მის მხრებზე დგას. მაგრამ თავად ლებრონს არ სჭირს განდიდების მანია და ბევრი სხვა სუპერვარსკვლავისგან განსხვავებით, ისტერიკაში არ ვარდება, როდესაც ზოგჯერ რომელიმე თანაგუნდელი მასზე მეტ ქულას აგროვებს. „კლიპერსთან“ მან 22 ქულა გააკეთა, მისმა ლიტველმა თანაგუნდელმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა კი 25 და ამით ნამდვილად არ დაქცეულა ქვეყანა.

დაძაბული გამოდგა შარლოტში იქაური „ბობქეთსისა“ და „ჰიუსტონ როკიტსის“ შეხვედრა. მასპინძელი „ფოცხვერები“ ბოლომდე კბილებით და ბრჭყალებით ებრძოდნენ მომხდურებს, მაგრამ ბოლოს მაინც მოუხდათ მეტოქის უპირატესობის აღიარება. სადღეისოდ ნბა-ს უძლიერეს ტანდემად მონათლულმა ტრეისი მაკგრეიდის და იაო მინის დუეტმა „ჰიუსტონს“ 7 თამაშში მეექვსე მოგება მოუტანა. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე - 226-სანტიმეტრიანმა ჩინელმა ყირაყმა შარლოტელებს თავს 34 ქულა დაატეხა და ბოლო წამებზე მანვე ჩააგდო ორი გადამწყვეტი საჯარიმო.

**კოტე ყორშია**





# ცეკვა ჩემპიონური

**გუშინ,** ღამის ოთხ საათზე საქართველოს სამბისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნდა. ოლეგ იაძის გუნდმა პრაღაში ჩატარებულ ტურნირზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

შუაღამის და საშინელი წვიმის მიუხედავად, ნაკრებს აეროპორტში ბლომად გულშემატკივარი დახვდა. იქვე ზურნა-დოლ-გარმონის ხმაც ისმოდა, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, მსოფლიოს ჩემპიონ უშანგი კუზანაშვილის პირობის შესასრულებლად იყო. იაძის გუნდის უმსუბუქეს სამბისტს ჯერ კიდევ პრაღაში წასვლამდე უთქვამს, თუ ოქროს მედალს მოვიგებ, აეროპორტში ვიცეკვებო. ჩემპიონმა სიტყვა საქმედ აქცია. ხელი მეორე მსოფლიოს ჩემპიონმა მირიან პავლიაშვილმაც გაშალა.

„ეს ქართული სამბოს უდიდესი წარმატებაა — გვითხრა კუზანაშვილმა — მედლების მარაგს კიდევ ხუთი მედალი მივამატეთ და ბედნიერი ვარ, რომ მათგან ერთი ოქრო ჩემია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალიან კარგად გამოვედით და ამ შედეგის შესანარჩუნებლად ბევრი შრომა მოგვიწევს".

ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე** ყველაზე მეტად იყო გახარებული:

„ეს ქართული სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია. სამბოს ისტორიაში კი მსგავსი წარმატებისთვის აქამდე უცხოეთში ჩატარებულ არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიგვიღწევია. წინასწარ დასახული გეგმა ბოლომდე შევასრულეთ. ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ წარმატებას მივაღწიეთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელზეც მონაწილე ქვეყნების და სამბისტების სარეკორდო რაოდენობა იყო".

**ოთარ ბაღლაძელიძე**



# კოკაიმ ოსებს ქულები გაუყო

**კვირას** იაპონურ ფუკუოკაში სეზონის დამაგვირგვინებელი, ნოემბრის ბაშო გახურდა. იმპერატორის თასის თხუთმეტდღიან მარათონში უმაღლეს დივიზიონ მაკუჩის 42 სუმოისტი ჩაერთო. პარალელურად დაიწყო ქვედა ლიგების ტურნირებიც. ჯერ ორი ტური ჩატარდა, მაგრამ უკვე ბლომად სენსაციები მოხდა. თუმცა ვიდრე ფავორიტთა იმედგაცრუებებს ვახსენებთ, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოზე ვთქვათ.

ბოლო ბაშოების მინუსბალანსებმა ქართველი რიკიში ლევან ცაგურია აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირობამდე ჩამოსწია და მიმდინარე ბაშოზე მინიმუმ რვა მოგება ჰაერივით სჭირდება. „შავმა ზღვამ" ტურნირი გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ გუშინ პირველი ქულა დაკარგა.

კენჭისყრამ ჩვენებური საწყის ტურებში რუსეთის სახელით მოჭიდავე ოს ძმებს — როხოს და ხაკუროზანს გადაჰყარა. ამ ორში როხო უფრო სახელიანია და წესით, კოკაის მასთან მეტად უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ახლა სამივე კავკასიელი რიკიშის ანგარიშზე თითო მოგება-წაგებაა.

ბაშოს პირველი მთავარი მოულოდნელობა კი იმპერატორის თასის მფლობელის, ხაკუხოს ცუდი სტარტი აღმოჩნდა. 22 წლის იოკოძუნამ კომუსუბი კოტოსიოგიკუსთან წაფორხილების გამო გაფუჭებული ხასიათი მეორე ტურში ხომასიოს იოლად ძლევით ოდნავ გამოიკეთა.

ერთი ქულა აქვს ვეტერან ოძეკი კაიოსაც. ტურნირი მანაც მარცხით დაიწყო და ზედიზედ მეორე ბრძოლაც რომ წაეგო, შეიძლება, სპორტული კარიერა დაესრულებინა. გადაწყვეტილება კაიოს მწვრთნელმა გაახმოვანა.

მაღალრეიტინგიანი დევკაცების იმედგაცრუება ამით არ დასრულებულა. ხასიათი ოძეკი კოტოოსიუსა და მიაბიამასაც წაუხდათ. ამ უკანასკნელმა სულაც ორჯერ წააგო. ერთადერთი ოძეკი, ვინც თასისკენ უდანაკარგოდ მიიწევს, ტიოტაიკაია.

**ოთარ ბაღლაძელიძე**







ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს დავით ბედინაძეს და რამაზ ნოზაძეს წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორივე იმ ათეულში შეიყვანა, რომლიდანაც 1 დეკემბერს 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე უნდა აირჩეს.

საუკეთესო გულშემატკივართა ხმებით გამოვლინდება. ბედინაძემ და ნოზაძემ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს. ახლა ჩვენი ჯერია.

**www.allsport.ru**
**www.wrestrus.ru**



### მიმდინარე შედეგები

| | |
|---|---|
| ალექსეი მიშინი (რუსეთი) | 2620 (40,0%) |
| ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი) | 2469 (37,7%) |
| სორიან რეიჰანპური (ირანი) | 578 (8,8%) |
| ხასან ბაროევი (რუსეთი) | 538 (8,2%) |
| რამაზ ნოზაძე (საქართველო) | 117 (1,8%) |
| მიხაელ ლოპესი (კუბა) | 94 (1,4%) |
| იავორ იანაკიევი (ბულგარეთი) | 54 (0,8%) |
| დავით ბედინაძე (საქართველო) | 39 (0,6%) |
| ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი) | 31 (0,5%) |
| იან ჩოი პარკი (სამხ. კორეა) | 7 (0,1%) |



# ელიტარული კოტო

**მიგელ კოტომ** ამ უქმეებზე პროფესიული კრივის ელიტაში შეაბიჯა. პუერტორიკოელმა კვირას გამთენიისას პირთამდე გადავსებულ „მედისონ სქუეარ გარდენში" ყველას დაუმტკიცა თავისი სიძლიერე, როცა მსაჯთა გადაწყვეტილებით სამგზის მსოფლიოს ექს-ჩემპიონ შეინ მოზლის მოუგო და ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ს ტიტული შეინარჩუნა.

კარგა ხანია, რაც კოტო სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია. 30 ბრძოლის მომგები (აქედან 25 ნოკაუტით) და აქამდე დაუმარცხებელი მოკრივე შეუმჩნეველი ნამდვილად ვერ დარჩებოდა, მაგრამ ამ უქმეებამდე მის სიდიადეზე მაინც ფრთხილად საუბრობდნენ. ჯერ ერთი, რომ კოტო არც ერთ ძლიერ მოკრივეს არ შეხვედროდა. მეორეც, ეჭვებს ბადებდა პუერტორიკოელის ჩხუბის სტილი — ის ხომ არასოდეს აქცევდა ყურადღებას დაცვას და მხოლოდ აგრესიული კრივით გადიოდა ფონს. ძლიერ მეტოქეებთან კი ასეთ ჩხუბს შედეგი არ მოაქვს. აკი, კოტო კინაღამ დაანოკაუტა კიდეც მისმა აქამდე ყველაზე სერიოზულმა მოწინააღმდეგე ზაბ ჯუდამ. ამიტომაც, კოტოს მოზლისთან ბრძოლაში უნდა დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე.

საკუთრივ ბრძოლა კარგად საცქერი და ძალიან საინტერესო გამოდგა, რადგანაც ორივე მოკრივე მაღალ ტემპში იბრძოდა. მოზლიმ მიიღო მეტოქის მიერ შემოთავაზებული მაღალი ტემპი და რინგზე ძალიან დინამიკური ჯახი გაჩაღდა.

ისე, მოზლის არაფერი აქვს სასაყვედურო — მან მშვენივრად იჩხუბა და ალაგ-ალაგ ჰგავდა კიდეც იმ მოკრივეს, 2001-02 წლებში პროფესიული კრივის ყველაზე ძლიერ ნოკაუტიორად რომ ითვლებოდა. თუმც ყველაზე მთავარ სიურპრიზად მაინც კოტო იქცა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა თავისი სტილი და ამით ბევრი სპეციალისტის პატივისცემაც დაიმსახურა.

„არ მეგონა, თუ კოტო ტაქტიკურად ასე გამართულ ჩხუბს შეძლებდა" — განაცხადა ჩხუბის შემდეგ თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა.

კოტოს მთავარ იარაღად კარგად დაყენებული ჯები იქცა, რომლის მეშვეობითაც კუნძულელს მოზლი მუდმივ პრესინგში ჰყავდა. ბრძოლის შემდეგ ეს თავად ამერიკელმაც აღნიშნა: „ჯები კარგად გამოიყენა. რამდენჯერმე კარგად მომწვდა, მაგრამ ისე ძლიერედაც არა, რომ ფიცარნაგზე დავეცე. ერთი-ორჯერ მეც მაგრად მოვარტყი, მაგრამ ის ძლიერი ბიჭია, კარგად გაუძლო და დაიმსახურა გამარჯვება".

**კახა ლომჯაშვილი**



# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ცოტაც** და სამი წლის წინ კლასიფიკაციის 42-ე საფეხურზე მყოფი ირაკლი ლაბაძე ATP-ის რეიტინგიდან გავარდება. გაუთავებელი ტრავმების გამო წლეულს უთამაშებელმა ქართველმა კიდევ რამდენიმე სარეიტინგო ქულა და, შესაბამისად 101 პოზიცია დაკარგა და კლასიფიკაციის 1373-ე საფეხურზე დაეშვა.

აი, საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ლიდერმა ლადო ჩიხლაძემ კი ექვსი ნაბიჯით წინ წაიწია და კარიერის უმაღლეს, 350-ე საფეხურს, რომელზედაც ამ ერთი თვის წინ იმყოფებოდა, ერთი ადგილილა აშორებს.

ქალთა ახალ რეიტინგში ერთბაშად სამი ჩვენებური ავიდა კარიერის უმაღლეს საფეხურზე. თინა ყავლაშვილმა 39 ადგილით წინ წაიწია და ახლა 519-ეა, ოქსანა კალაშნიკოვამ 21 პოზიცია მოიგო და 610-ე ადგილს უწია, ხოლო სოფო ქვაცაბაიამ ოთხი საფეხურით მაღლა, 741-ე პოზიციაზე აინაცვლა.



ირაკლი ლაბაძეს ზოგანი მოენატრა

**კაცები**

| | |
|---|---|
| 351(+6) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 1254(-9) ნოდარ ითონაშვილი | 3 |
| 1373(-101) ირაკლი ლაბაძე | 2 |
| 1461(-5) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1461(-5) გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 165(0) მაკა ჩახნაშვილი | 189,5 |
| 278(0) ანა ტატიშვილი | 88,0 |
| 408(+19) სოფო შაფათავა | 46,0 |
| 519(+39) თინა ყავლაშვილი | 31,0 |
| 576(-15) სალომე დევიძე | 23,5 |
| 610(+21) ოქსანა კალაშნიკოვა | 20,5 |
| 636(+3) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 741(+4) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 810(+8) ეკა გორგოძე | 10,0 |
| 824(+6) სოფო მელიქიშვილი | 10,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6155 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3725 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3475 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3461 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2956 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2935 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2802 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2367 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2191 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1985 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1942 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1882 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1862 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1830 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1806 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1675 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1538 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |
| 20. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1331 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6155 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4202 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3796 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3498 |
| 5. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 3033 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2956 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2802 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2616 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2374 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2023 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1973 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1942 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1936 |
| 15. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1919 |
| 16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1864 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1699 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1538 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1497 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1372 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5 367 086 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 099 974 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2 062 487 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1 910 354 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1 843 187 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1 785 387 |
| 7. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1 758 550 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1 397 266 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1 233 406 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1 166 112 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 879 767 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 875 623 |
| 13. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 818 099 |
| 14. სარა ბლექი (ზიმბაბვე) | 795 907 |
| 15. შაჰარ პირი (ისრაელი) | 782 765 |
| 16. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 741 607 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 718 625 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 694 491 |
| 19. აი სუგიამა (იაპონია) | 679 897 |
| 20. მარა სანტანჯელო (იტალია) | 677 877 |

# ენინის მეექვსედი მსოფლიო

**მადრიდში** კვირას დასრულებული WTA-ტურის ჩემპიონატით დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 2007 წლის სეზონი. არა, ITF-ის ეგიდით წლის ბოლომდე კიდევ არაერთი ტურნირი ჩატარდება, მაგრამ მათი შედეგები რეიტინგის მოწინავეთა მდგომარეობაზე გავლენას ვეღარ იქონიებს.

იანვრის პირველი რიცხვებიდან მოყოლებული გუშინწინდლამდე, სლემტურნირებისა და მადრიდული შეჯიბრის ჩათვლით, WTA-ტურის 61 ტურნირი ჩატარდა. ამათგან 34 მაგარსაფარზე გაიმართა, 18 თიხნარზე, 4 ბალახზე და სამიც ხალიჩაზე.

ეს 61 შეჯიბრი, მთლიანობაში, 34 ჩოგბურთელმა მოიგო, რომელთა თავში ყოველი მეექვსე, ანუ ჯამური 10 ტიტულით სეზონის უპირობო ლიდერი, ბელგიელი ჟუსტინ ენინია. მთლიანობაში კი, 2007 წლის ლაურეატთა სია ასე გამოიყურება:

ჟუსტინ ენინი (ბელგია) — 10

ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — 4-4

ვინუს უილიამსი (აშშ), ანა ივანოვიჩი (სერბეთი) — 3-3

სერენა უილიამსი (აშშ), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), გიზელა დულკო (არგენტინა), ელენა დემენტიევა (რუსეთი), აგნეს სჟავაი (უნგრეთი), ლინდსი დევენპორტი (აშშ), ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი), ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — 2-2.

დინარა საფინა (რუსეთი), კიმ კლაისტერსი (ბელგია), მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), სიბილ ბამერი (ავსტრია); ნადია პეტროვა (რუსეთი), იაროსლავა შვედოვა (რუსეთი), ამელი მორესმო (საფრანგეთი), ემილი ლუა (საფრანგეთი), აკიკო მორიგამი (იაპონია), ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი), მეგან შონესი (აშშ), ფრანჩესკა შიავონე (იტალია), აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი), მარია შარაპოვა (რუსეთი), სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი), მარია კირილენკო (რუსეთი), პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი), ფლავია პენეტა (იტალია), რობერტა ვინჩი (იტალია), მილაგროს სეკერა (ვენესუელა), გრეტა არნი (გერმანია) — 1-1.



**„შეუძლებელი** არაფერია და წლეულს მე ეს დავამტკიცე" — განაცხადა წლის შემაჯამებელი ტურნირის მოგების შემდეგ ჟუსტინ ენინმა.

ვის, ვის და ენინს ნამდვილად აქვს ამის თქმის უფლება. ჭირკა ბელგიელისთვის წელიწადი ისე საზიზღრად დაიწყო, რომ მას ჩოგბურთისთვის საერთოდ არ სცხელოდა. ჟუსტინი ქმარს სცილდებოდა და ამის გამო ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება მოუხდა. ბენილუქსელს პრობლემები პირად ფრონტზე არც ამის შემდეგ მოჰკლებია, თუმც უკვე დადებითი კუთხით — იგი წლების წინ ნაჩხუბარ ოჯახს შეურიგდა.

ყოველივე ამას ჟუსტინისთვის ხელი ოდნავადაც არ შეუშლია, ქალთა ჩოგბურთში უკანასკნელი დეკადის ყველაზე შთამბეჭდავი სეზონი ჩაეტარებინა. ენინმა ერთბაშად რამდენიმე რეკორდი გაიმეორა ანაც დაამყარა. ბელგიელმა წლეულს 67 მატჩიდან 63-ში იმარჯვა მოგებების 94 პროცენტიანი მაჩვენებლით, რაც საუკეთესოა შტეფი გრაფის 1989 წლის მაჩვენებლის შემდეგ, რომელიც 97,7 პროცენტი იყო; 14 ტურნირზე ითამაშა და 10-ზე იმარჯვა (ბოლოს 1997 წელს მარტინა ჰინგისმა შეძლო 10 ან მეტი ტიტულის მოგება) და სეზონის დასრულებამდე 7 კვირით ადრე გაინაღდა რეიტინგში პირველ ადგილი.

ეს ეპიკური წელიწადი ენინმა მართლაც რომ ეპიკური მატჩით დაასრულა — ბელგიელისა და მარია შარაპოვას ფინალი უდავოდ სეზონის მშვენებად იქცა, რომელმაც 3 საათსა და 24 წუთს გასტანა. ეს მატჩი თავისი ხანგრძლივობით WTA-ს ისტორიაში მე-12 აღმოჩნდა.

ფინალის ყურება ერთ რამედ ღირდა — ასეთი მაღალი დონისა და თანაბარი ძალის მეტოქეთა ჯახი კარგა ხანია, არ ღირსებია მაყურებელს. თავისი დაძაბულობითა და სტილით ეს კაცთა შეხვედრას უფრო ჰგავდა, სადაც თითოეული

# აი, ფინალი, ჯერ არნახული

ლი მეჩოგნე საკუთარ მოწოდებას მაქსიმალურად ფაქიზად ეკიდება და ყოველი გათამაშებისთვის ბოლომდე იბრძვის. . მხოლოდ ქების ღირსია შარაპოვაც, რომელმაც, ენინისგან განსხვავებით, ეს წელიწადი მთლიანად ჩაავდო, მაგრამ მადრიდში კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. ფინალში მაშამ ყოვეგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ისეთი სრულყოფილი თამაში აჩვენა, რომელსაც მისგან ჩვეული არ ვართ — ასეთი შარაპოვა ალბათ მხოლოდ მისი უიმბლდონური ტრიუმფის დროს თუ გვინახავს.

უნდა აღინიშნოს რუსის სამწვრთნელო შტაბის დიდებული მუშაობაც. შარაპოვა ტაქტიკურად დიდებულად მოამზადეს ენინთან სათამაშოდ. მთავარი მაინც ის იყო, რომ მაშა მთელი შეხვედრის განმავლობაში ავიწროებდა ბელგიელს და მუდმივად შეტევაში იყო, რის გამოც ენინმა ვერ შეძლო თავისი თამაშის დაჭერა. მთელი შეხვედრა სწორედ ამიტომაც მიდიოდა ქულა ქულაში. პირველი სეტის ბედი ბოლო, მეთორმეტე გეიმზე გადაწყდა, როცა შარაპოვამ ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა. თანაბარი გამოდგა მეორე პარტიაც, ოღონდ აქ ენინმა თამაში ოდნავ გამოასწორა. შედეგად პირველი ბრეიკიც მან გააკეთა და 5:4 დაწინაურდა, მაგრამ შარაპოვამ უმალვე გააყაიმა ანგარიში. საქმე თითქოს ტაიბრეიკისკენ წავიდა, თუმც ბელგიელმა ზედიზედ ორი გეიმი აიღო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

მესამე და გადამწყვეტი სეტი კი უკვე ნაკლებად თანაბარი გამოდგა, რადგანაც ენინი ფიზიკურად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. მაშას დაღლილობა ეტყობოდა და უკვე ოდენ ნებისყოფის ხარჯზე ჩერდებოდა კორტზე. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა ბელგიელი 3:1 დაწინაურდა. აქ რუსმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ანგარიში გააყაიმა, თუმც ამას მთელი შემორჩენილი ძალები შეალია. ბენილუქსელმა კი ხელიდან აღარ გაუშვა თავისი შანსი და ეს მარათონი სათავისოდ დაამთავრა.

„ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი იყო. დიდებული წლის ასეთი მატჩით, ყველაზე ხანგრძლივით ჩემი კარიერის განმავლობაში, დასრულება ამ სეზონს კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდის" — ბედნიერი იყო ენინი, რომელმაც შარაპოვას ფინალში ნაჩვენები თამაშისთვის მადლობა გადაუხადა.

**კახა ლომჯუშვილი**

მასტერსის თასი. შანხაი. ჩინეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 450 000 $

# გონსალესმა ფედერერს აუღებელი დაურტყა



### წითელი ჯგუფი

ფერნანდო გონსალესი (7, ჩილე) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 3:6 7:6 7:5
ენდი როდიკი (5, აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 6:3 4:6 6:2

**გუშინ** ნოვაკ ჯოკოვიჩის დავიდ ფერერისთან დამარცხებას დიდი სენსაცია ვუწოდეთ, რადგან წლევანდელი მასტერსის თასის ჯგუფურ ეტაპზე ამაზე დიდ მოულოდნელობას არ ველოდით, მაგრამ თურმე მაგრად ავჩქარდით — გუშინ სენსაცია კი არა, ნამდვილი სასწაული ვიხილეთ, რადგანაც ფერნანდო გონსალესმა თავის ოთხწელიწადნახევრიან წვალებას მოუღო ბოლო და როჯერ ფედერერს კარიერაში პირველად მოუგო.

დიახ, სწორედ ამდენი იწვალა ჩილელმა შვეიცარიელთან — პირველად ერთმანეთს 2003-ში შეხვდნენ და იქიდან მოყოლებული, ალპელს სამხრეთამერიკელი დაბრიყვებული ჰყავდა. ამ ოთხ წელიწადში „მხიარულ როჯერს“ 10-ჯერ გაემწარებინა გონსალესი და წესით, აქაც იგივე უნდა ექნა, მაგრამ ჩილელმა ნავსი გატეხა.

არადა, თამაში ისევ ფედერერის აშკარა უპირატესობით დაიწყო. პირველ სეტში შვეიცარიელი იმას აკეთებდა, რაც სურდა და ამიტომ ადვილადაც დაწინაურდა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ მორალურად გატეხილი გონსალესისთვის საბოლოოდ მოეღო ბოლო, ალპელმა ტემპს უკლო და როგორღაც ზერელედ ათამაშდა. მოკლედ, როჯერმა მისთვის ჩვეული „მკვლელის ინსტინქტი“ ვერ გამოიჩინა და ამიტომაც დაისაჯა.

გონსალესი კი ნელ-ნელა წელში გასწორდა, ჯერ საკუთარ მოწოდებაზე დაიწყო კარგად თამაში და მეორე სეტი ტაიბრეიკამდეც მიიყვანა. აქ კი სამხრეთამერიკელი ისე ათამაშდა, მისგან მხოლოდ ერთხელ რომ გვინახავს — ამ წლის დასაწყისში, ავსტრალიის ღია პირველობაზე, სადაც თავისი მომაკვდინებელი ფორჰენდით ერთიმეორეზე მიაწყო მეტოქენი (მათ შორის რაფაელ ნადალი) და ფინალს უწია. იანვარში გონსალესს ფედერერი კი გაუმკლავდა, მაგრამ გუშინ იგივეს გამეორება ველარ შეძლო.

ტაიბრეიკიდან მოყოლებული, უპირატესობას უკვე ჩილელი ფლობდა და თამაშიც მას მიჰყავდა. გონსალესმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ბრეიკზე ნადირობა. ფედერერი რის ვაი-ვაგლახით ახერხებდა მოწოდების შენარჩუნებას, მაგრამ მე-11 გეიმში გატყდა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა — ჩილელმა ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და მთლიანად მატჩშიც იმარჯვა.

„ფერნანდოს ასე რომ წაუვა თამაში, მის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის შეუძლებელია“ — განაცხადა ნამატჩევს ძალიან ცუდ ხასიათზე მყოფმა ფედერერმა, რომელმაც მასტერსის თასის ჯგუფურ ეტაპზე თავისი პირველი შეხვედრა წააგო (აქამდე 15-ჯერ ემარჯვა). გარდა ამისა, ფედერერმა ზედიზედ მეორე თამაში დათმო (მანამდე, პარიზის მასტერსზე დავიდ ნალბანდიანთან), რაც მას 2003 წლის მერე არ ახსოვს, როცა ჯერ ჰამბურგის მასტერსის მესამე წრეში დამარცხდა და შემდეგ „როლან გაროსის“ პირველ წრეში.

დღის მეორე შეხვედრაში კი კარს მომდგარი დევისის თასის ფინალის პროლოგი ვნახეთ, რადგანაც ერთმანეთს ფინალისტების ლიდერები — ენდი როდიკი და ნიკოლაი დავიდენკო დაეტაკნენ. მთლიანობაში იანკიბოი უკეთესად გამოიყურებოდა და მართალია, მეორე სეტი აშკარად ჩააგდო, მაინც დამსახურებულად იმარჯვა. ისე, ენდისთვის დავიდენკო ყოველთვის სასურველი მეტოქე იყო — აქამდე ოთხიდან ოთხივე დაპირისპირება მოუგო და რუსი ამჯერადაც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

**კახა ლომჯიშვილი**





# ნანა ძაგნიძის ოქროს საგზაო

**ბოლო ერთ თვეში ქართველმა ქალებმა ორ მძლავრ ტურნირზე, ევროპის საკლუბო და გუნდურ ჩემპიონატებზე ითამაშეს. კლუბებში ჩვენმა „ინტერპლასტმა“ მე-8 ადგილი დაიკავა, ნაკრებმა კი მეოთხე, რაც ჩვენთვის წარმატებად არ ჩაითვლება. სამაგიეროდ, ორივე ტურნირზე თავი ისახელა 20 წლის ნანა ძაგნიძემ. იგი თავის დაფაზე ორივეგან საუკეთესო იყო და პირადულ ოქროს მედლებს მოუყარა თავი**



**— ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე 6 მატჩში 5 ქულა დააგროვე, გუნდურზე კი 8 შესაძლებლობიდან 6,5...**

— საკლუბოში ძირითადად მესამე დაფაზე გამოვდიოდი, გუნდურში კი მეოთხეზე. საკლუბო ტურნირზე სულ ძლიერებთან მიწევდა თამაში და ბოლო ტურში სერბ ანა ბენდერაკთან კურიოზულ მატჩში დავმარცხდი. მანამდე ანა მუზიჩუკთან, ჩენ ჟუნთან და ეკატერინა კოვალენსკაიასთან მქონდა მძიმე ბრძოლები, ამიტომაც ცოტა გადაღლილი ვიყავი და დასვენება მჭირდებოდა. მაგრამ მწვრთნელმა მაინც მათამაშა და მოულოდნელად წავაგე. სამაგიეროდ, გუნდურ ჩემპიონატზე სრული რევანში ავიღე და მას მეოთხე ტურში მოვუგე.

**— როგორ ფიქრობ, ეს შენი მაქსიმუმი იყო?**

— არა, რა მაქსიმუმი, უფრო უკეთაც შემეძლო თამაში. საკლუბოზე უკეთ ვითამაშე, იმიტომ რომ იქ თითქმის ყველა მეტოქე ძლიერი იყო მყავდა და მეტად მობილიზებული ვიყავი. ჩემი აზრით, ცუდად არ გამოვსულვარ და ოქროს მედლები დამსახურებულად ავიღე.

**— შენ წარმატებულად ითამაშე, მაგრამ თანაგუნდელებმა ვერ აგიბეს მხარი და ორივეგან მედლის გარეშე დარჩით?**

— გუნდში რაღაც შეცდომები იყო და მედლებიც ამიტომ დავკარგეთ. კრეტაში, გუნდურ ჩემპიონატზე დაღლილები ჩავედით, რის გამოც პირველივე ტურში ლიტვასთან სენსაციურად დავმარცხდით და დასანანი ქულებიც დავკარგეთ. შემდეგ გუნდმა მოუმატა და ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, მაგრამ მეშვიდე ტურში რუსებთან წავაგეთ და მედლის შანსი შევამცირეთ. ბოლო ტურში კი უკვე დიდი სტრესი გვქონდა, რის გამოც მხოლოდ ყაიმს დავჯერდით და საბოლოოდ მეხუთეზე გავედით. უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის სულ რუსებთან გვიწევს გადამწყვეტი მატჩები და ქულებს ვკარგავთ. ვფიქრობ, რუსებს როცა მოვუგებთ, წარმატებასაც მაშინ მივაღწევთ.

ბოლო ხანებში სულ ასეა, ბოლო ტურში ვკარგავთ მედლებს. იმედია, ფედერაციაში ამაზე იმსჯელებენ და სწორ დასკვნებს გააკეთებენ.

**— ქვეყანაში შექმნილმა მოვლენებმა ხომ არ იქონია გუნდზე გავლენა?**

— რა თქმა უნდა, გავლენა ამანაც იქონია. როცა გავიგეთ, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, ყველანი ავნერვიულდით. ვარჯიშისას საათს ვუყურებდით, საინფორმაციო გამოშვება რომ გვენახა.

**— კაცებმაც ცუდად ითამაშეს და საბოლოოდ მე-13 ადგილს დასჯერდნენ...**

— ბიჭები ყველანი სხვადასხვა ტურნირებიდან ჩამოვიდნენ და ალბად ცოტა გადაღლილები იყვნენ.

**— უახლესი გეგმები ჩატარდება გაქვს?**

— წლის ბოლომდე ალბად თბილისში ვიქნები, იანვრიდან კი ძლიერი ტურნირები იწყება და იქ გავემგზავრები. ორგანიზატორებისგან რამდენიმე წინადადება მაქვს და რომლებიც აჯობებს, იმას ავირჩევ. მომავალ წელს პლოვდივში ევროპის ჩემპიონატი იწყება და ვეცდები, იქ კარგად ვითამაშო. მედალი თუ ვერა, საუკეთესო თორმეტეულში მაინც მოვხვდები და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებ.

**ლუკა გეგეჭკორი**

## მიხაილ ტალის მემორიალი
## მოსკოვი. რუსეთი. 9-23 ნოემბერი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ევგენი ალექსეევი (რუსეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |

# მშვიდობა მოსკოვში

**ტალის** მემორიალის მეორე ტურში ყველა პარტია ყაიმით დასრულდა და პირველზე ისევ პეტერ ლეკო დარჩა. მაღიარი დიდოსტატი გატა კამსკის დაუზავდა.

დიდი ხანია, ამერიკელი მოჭადრაკე ინტერვიუებში აღნიშნავს, რომ ბოლო დროს სადებიუტო თეორიებს ივიწყებს და ახლის შეძენას ველარ ახერხებს. დიდ თეორეტიკოსთან შეხვედრისას კი სპეციალისტებმა ივარაუდეს, რომ კამსკი ძველ გაცვეთილ დებიუტებს არ აირჩევდა და მეტოქეს რაიმე ახალს შესთავაზებდა.

ასეც მოხდა და პარტია საინტერესო გამოვიდა ამერიკელმა დებიუტში დაცვა გააძლიერა, ხელმწიფის ფლანგზე კუ სნაიპერივით დასვა და მე-8 სვლაზე როქი გააკეთა. ლეკომ მარჯვენა ფლანგიდან ლაზიერ-კუთი დაარტყა შავებს. კამსკიმ მოიერიშეებს დიდი ძალები დაახვედრა და საპასუხოდ ლაზიერის მხრიდან ეტლებით შეუტია. მეტოქეები ფიგურების გაცვლაზე გადავიდნენ, ერთმანეთს იერიშის განხორციელების საშუალება არ მისცეს და 39-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ვერ მოიგო ფიდეს რეიტინგის მეორე ნომერმა ვასილ ივანჩუკმა. უკრაინელი თეთრი ფიგურებით დმიტრი იაკოვენკოს 31-ე სვლაზე დაუზავდა და ისევ ცხრილის შუაში ტრიალებს.

**ლუკა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

1. პეტერ ლეკო — 1,5
2. გატა კამსკი — 1
3. ვლადიმირ კრამნიკი — 1
4. ევგენი ალექსეევი — 1
5. დმიტრი იაკოვენკო — 1
6. შაჰრიარ მამედიაროვი — 1
7. ვასილ ივანჩუკი — 1
8. მაგნუს კარლსენი — 1
9. ბორის გელფანდი — 1
10. ალექსეი შიროვი — 0,5

# ტოპალოვმა ლიდერს მიუკაკუნა

**ესპანეთში,** ქალაქ ვიტორია-გასტეისში მიმდინარე ტურნირზე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ჰქვია, მერვე ტურის მატჩები ჩათამაშდა. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრი ფიდეს ეგიდით ტარდება, სიძლიერით კი მე-19 კატეგორიისაა და მასში ოთხი მსოფლიოს ექსჩემპიონი მონაწილეობს.

ცხრილს 5,5 ქულით უკრაინელი რუსლან პონომარიოვი ლიდერობს. მერვე ტურში მან თეთრი ფიგურებით ანატოლი კარპოვს გაუყო ქულა და პირველი ადგილი შეინარჩუნა. მეორეზე ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი ალზევდა. მან დაძაბულ ბრძოლაში თეთრებით ევროპის 2006 წლის ჩემპიონ ლივიუ-დიტერ ნისიპიანუს სძლია და პირველადგილოსანთან სხვაობა ნახევარ ქულამდე დაიყვანა. მესამეზე 4,5 ქულით საუკეთესო ქალი დიდოსტატი უნგრელი იუდიტ პოლგარია. იგი თეთრებით უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს დაუზავდა და მოწინააღმდეგე ბოლო ადგილზე დატოვა.

მეოთხე ადგილზე ნისიპიანუა 4 ქულით. კარპოვი კი 2,5 ქულით კასიმჯანოვთან ერთად ბოლო ადგილს ხნავს.

**ლუკა გეგეჭკორი**

## სნუკერი



# მაგარი მაგუაერი

**სეზონის** მესამე სარეიტინგო ტურნირი, „ჩრდილოეთ ირლანდიის თასი“ რეიტინგის ტოპათეულში შემავალი სნუკერისტის, შოტლანდიელი სტივ მაგუაერის გამარჯვებით დასრულდა და ამგვარად, არ გამართლდა ჩვენი პროგნოზები, რომ ვამბობდით, დიდი შანსია, „შანხაის მასტერსისა“ და „დიდი პრიზის“ დარად, ბელფასტშიც არაელიტარულმა მოთამაშემ იმარჯვოსო.

ასეთი არაელიტარული მოთამაშე 35 წლის ირლანდიელი ფერგელ ობრაიენი იყო, რომელმაც ფინალისკენ სავალ გზაზე სნუკერის ისეთი დიდოსტატები დასცა, როგორებიც მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონები, შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსი და ინგლისელი რონი ოსალივანი არიან, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მაგუაერთან ვეღარას გახდა.

მაგუაერი მეოთხედ იყო სარეიტინგო ტურნირის ფინალში და მესამე ტიტულს დაეუფლა. ფინალური მატჩის პირველი, შვიდფრეიმიანი სერიის შემდეგ სქოთი ოდენ 4:3-ს იგებდა და შესვენების შემდეგლა გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა. 4:7 ჩამორჩენაზე ობრაიენმა ერთიც გაიბრძოლა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო და მაგუაერმა ფინალი 9:5 მოიგო.

ამ გამარჯვებით მაგუაერი. სნუკერისტთა წინასწარ რეიტინგში მესამე ადგილზე აღზევდა, ხოლო ობრაიენმა 37-ე პოზიციიდან, ერთბაშად მეცხრამეტეზე აინაცვლა. რაც შეეხება რეიტინგის კენწეროს, იქ მაგუაერის მიერ ნახევარფინალში ძლეული ინგლისელი მსოფლიოს ექსჩემპიონი შონ მერფი მოკალათდა.

სეზონის მორიგი, რიგით მეოთხე სარეიტინგო ტურნირი, „დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი“, 3-16 დეკემბერს ჩატარდება. რეიტინგის 16 მოწინავეს იქ თამაში გარანტირებული აქვს, ხოლო დარჩენილი თექვსმეტის ვინაობა ნოემბრის ბოლოს, უელსში ჩატარებული კვალიფიკაციის შემდეგ გაირკვევა.

**სნუკერისტთა რეიტინგის ტოპ-ოცეული**

| | |
|---|---|
| 1. შონ მერფი (ინგლისი) | 29 250 |
| 2. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 28 950 |
| 3. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 28 825 |
| 4. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 28 075 |
| 5. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 25 500 |
| 6. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 24 325 |
| 7. მარკ სელბი (ინგლისი) | 23 925 |
| 8. გრემ დოტი (შოტლანდია) | 23 294 |
| 9. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 22 925 |
| 10. რაიან დეი (უელსი) | 22 725 |
| 11. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 20 844 |
| 12. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 20 725 |
| 13. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 19 775 |
| 14. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 18 869 |
| 15. დომინიკ დეილი (უელსი) | 17 525 |
| 16. ჯო პერი (ინგლისი) | 17 275 |
| 17. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 17 150 |
| 18. ჯო სვაილი (ირლანდია) | 16 850 |
| 19. ფერგელ ობრაიენი (ირლანდია) | 16 663 |
| 20. სტივ ლი (ინგლისი) | 16 569 |

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

11 ნოემბერი

**ჩიკაგო 3:2 დეტროიტი**

2:0 1:1 0:1

1:0 პერო (13), 2:0 კეინი (16), 2:1 გუდლერი (37), 3:1 ტოივსი (39), 3:2 ლიდსტრომი (54)

**კოლორადო 4:2 მინესოტა**

1:0 2:2 1:0

1:0 სმიტი (16), 2:0 შჩასტნი (26), 2:1 ბელანჟე (31), 3:1 შჩასტნი (35), 3:2 ბუშარი (40), 4:2 ვოლსკი (60)

## მთის თხილამურობა

# ჯინი თოვლზე

**„ეს ფანტასტიკაა,** წარმოუდგენელი შედეგია“ — ხარობდა კვირა საღამოს შვეიცარიელი მარკ ჯინი, რომელმაც ავსტრიულ რეიტერალმში გამართული სლალომი მოიგო და კარიერაში პირველი სამსოფლიოსთასო გამარჯვება მოიპოვა.



აქამდე უცნობმა შვეიცარიელმა გადამწყვეტი უპირატესობა პირველივე დაშვებისას მოიპოვა, როცა 58,96 წამში უშეცდომოდ გალია ტრასა და მეორე შედეგის მქონე ფინელს, ამ სახეობაში მსოფლიოს ექსჩემპიონ კალე პალანდერს 0,27 წამით აჯობა.

მეორე ცდაზე ჯინი მხოლოდ მეხუთე იყო, მაგრამ პირველი დაშვებისას მოპოვებული უპირატესობა მას სრულად ეყო საბოლოო გამარჯვებისთვის. პალანდერი მეორე ადგილზე დარჩა, ხოლო კვარცხლბეკის მესამე საფეხური მეორე ცდაზე საუკეთესო შედეგის მქონე იტალიელმა მანფრედ მოელგმა დაიკავა.

სლალომის ავსტრიელი ასები, მარიო მატი და ბენჯამინ რაიხი, შესაბამისად მეხუთე და მეშვიდე ადგილებზე გავიდნენ; მსოფლიოს თასის ამჟამინდელი მფლობელი და ახალი სეზონის პირველი, გიგანტური სლალომის ეტაპის მომგები ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი მე-13 იყო, ხოლო სეზონის კიდევ ერთმა ფავორიტმა, ამერიკელმა ბოდე მილერმა ოდენ 26-ე ადგილი დაიკავა.

ორი ეტაპის ჯამური მაჩვენებლებით საერთო ჩათვლაში პალანდერი დაწინაურდა. მეორეზე სვინდალია, ხოლო მოელგი და ჯინი მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

სასტარტო ევროპული ეტაპების შემდეგ „თეთრი ცირკი“ ჩრდილოეთ ამერიკაში გადაინაცვლებს და 24 ნოემბრიდან წარმოდგენებს კანადური ლეიკ ლუისისა და ამერიკული ბევერ კრიკის თოვლიან ფერდობებზე გამართავს.

**მსოფლიოს თასი. რეიტერალმი. ავსტრია. 11 ნოემბერი**

**კაცები. სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. მარკ ჯინი (შვეიცარია) | 1წთ 53,49წმ(58,96+54,53) |
| 2. კალე პალანდერი (ფინეთი) | 1.53,77(59,23+54,54) |
| 3. მანფრედ მოელგი (იტალია) | 1.53,99(59,78+54,21) |
| 4. ჟან გრანიე (საფრანგეთი) | 1.54,12(59,58+54,54) |
| 5. მარიო მატი (ავსტრია) | 1.54,14(59,67+54,47) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კალე პალანდერი (ფინეთი) | 140 ქულა |
| 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 120 |
| 3-4. მანფრედ მოელგი (იტალია) | 100 |
| 3-4. მარკ ჯინი (შვეიცარია) | 100 |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 86 |

## ციგურაობა

# სამი რეკორდი სეზონის სტარტზე



ჯერემი უოტერსპუნი

**ერთბაშად** სამი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ სოლტ ლეიკ სიტის მაღალმთიან ჭერქვეშა საციგურაოზე, სადაც მოციგურავეებმა 2007-08 წლების სეზონის მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი გამართეს.

სეზონის სტარტი მართლაც ფანტასტიკური გამოდგა. რეკორდების წვიმას სათავე სპრინტში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, კანადელმა ჯერემი უოტერსპუნმა დაუდო, რომელმაც 500 მეტრი 34,03 წამში გაისრიალა და კორეელი კანგ სეოკ ლის ძველ, წლეულს მარტში დამყარებულ რეკორდს ერთბაშად 0,22 წამი ჩამოაკლო. აღსანიშნავია, რომ ძველი რეკორდი თავად ლიმაც გააუმჯობესა, მაგრამ მისი 34,20 წამი მხოლოდ მეორე ადგილს ეყო.

შემდეგ ფინელი პეკა კოსკელას ჯერი დადგა. 1000-მეტრიან დისტანციაზე ფინელი ზუსტად წუთსა და 7 წამში ჩაეტია და ამერიკელი შენი დევისის შარშანდელ რეკორდს სამი მეასედი წამი ჩამოაკლო. ძველი რეკორდსმენი აქაც მეორე იყო, თუმც დევისი ამჯერად 1.07,18 დროით დაკმაყოფილდა.

მსგავსი სურათი ვიხილეთ 5000 მეტრზე ციგურაობაშიც. იტალიელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ენრიკო ფაბრისმა 5 კილომეტრი 6 წუთსა და 7,40 წამში გაირბინა და მეორე ადგილზე გასული ჰოლანდიელი სვენ კრამერის ძველი მიღწევა რვა მეასედი წამით გააუმჯობესა.

კიდევ ერთ დისტანციაზე, 1500 მეტრზე, ჰოლანდიელმა ვენემარსმა მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა — კილომეტრნახევარი წუთსა და 42,32 წამში გალია.

კაცებისგან განსხვავებით, ქალებმა ურეკორდოდ ისრიალეს. 500 მეტრზე საუკეთესო დრო გერმანელმა ჯენი ვოლფმა აჩვენა — 37,22; 1000 მეტრზე იტალიელი სინომატო იყო საუკეთესო — 1.13,57; 1500 მეტრზე პირველი ადგილი 1.52,75 შედეგით კანადელმა ნესბიტმა დაიკავა, ხოლო 3000 მეტრი 3.57,98 დროში ჩეხმა საბლიკოვამ მოიგო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო ხილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ლარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge